http://www.tsu.ge/newspaper

# თბილისის უნივერსიტეტი

9 ნოემბერი
ხუთშაბათი
N3 (2048)
2006 წელი

გაზეთი გამოდის
თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან ფასი 30 თეთრი

ანონსი

## „საქართველოსთვის“– უკრაინელი და ქართველი სტუდენტები რუსული აგრესიის წინააღმდეგ



ÌÄ-6 ÂÅ.

## „როცა მიმზიდველია სახლში დარჩენა, მაშინ ადამიანს არ სურს უცხოსთან წასვლა“

საუბრები ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიაზე

ÌÄ-7 ÂÅ.

## ახლო მომავალში უნივერსიტეტში საგამომცემლო სახლი გაიხსნება

ÌÄ-11 ÂÅ.

# ტელევიზიების კარები ახალბედა ჟურნალისტებისთვის დახურულია

### ამ პრობლემაზე სტუდენტები საუბრობენ

სტუდენტი ირჩევს, სტუდენტი აფასებს — ამ პრინციპის დამკვიდრების პარალელურად სტუდენტები პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასაც უნივერსიტეტისგან ითხოვენ. რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გიორგი ხუბუასთან პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლების შეხვედრაზე ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ტელევიზიების კარები ახალბედა ჟურნალისტებისთვის დახურულია, არადა მათთვის პრაქტიკის გასავლელად მომხიბლავი სწორედ ტელევიზიებია, სადაც მუშაობის დაწყებას ბევრი ნამდვილად ვერ ახერხებს.

რექტორატი ფაკულტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრას პერიოდულად გეგმავს და ყველა იმ პრობლემის განხილვას აპირებს, რაც სწავლების ახალ სისტემაზე გადასვლის პერიოდში სხვადასხვა სპეციალობაზე გამოიკვეთა.

სტუდენტებს შორის ყველაზე დაბნეულნი მაინც ისინი არიან, ვისი სპეციალობაც გაუქმდა და რომელთაც სხვა სპეციალობაზე იძულებით სწავლა არ მოსწონთ.

PR-ის სპეციალობაზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა სტუდენტების მხრიდან და იგი საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება. თავის დროზე უნივერსიტეტმა სწორედ ამ მოსაზრებით გახსნა ეს სპეციალობა, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე PR-ის ადგილი არ იყო, რის გამოც დეკანატმა უარი განაცხადა სტუდენტებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებაზე.



**ამირან ბერძენიშვილი, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:**

— დაისვა PR-ის სპეციალობის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოტანის საკითხი. ჩვენ მოუმზადებელი ვიყავით და დეპარტამენტის ხელმძღვანელების მხრიდანაც წინააღმდეგობებს შევხვდით და შევთანხმდით მხოლოდ იმაზე, რომ ამ ეტაპზე გაგრძელდება მუშაობა პიარსპეციალობის შესაქმნელად და სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსაძიებლად.

სტუდენტების ის ნაწილი რომელთა გადაკვალიფიცირება გვიანი არ არის (ძირითადად, II კურსელები), გადანა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ისრაელში საქართველოს პრეზიდენტს ფილოსოფიის მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს



საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ისრაელის ხაიფის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის საპატიო წოდება მიენიჭა.

ტონი ბლერის, ჯიმი კარტერისა და შიმონ პერესის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ეს წოდება ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული გარდაქმნებისა და სამართლებრივი რეფორმის გატარებისთვის მიიღო.

## „ამერიკის ნაციონალური აკადემიის შემდეგ – „მეცნიერებათა ევროპული აკადემია“



საქართველის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე არჩეულია „აკადემია ევროპეას“ ნამდვილ წევრად. გასულ საუკუნეში დაფუძნებული „მეცნიერებათა ევროპული აკადემია“ არის ევროპის ქვეყნების გამოჩენილ მეცნიერთა ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ფუნდამენტურ მეცნიერებათა ყველა ძირითადი დარგის გამორჩეულ წარმომადგენლებს. სრულიად ევროპის ეს სამეცნიერო ორგანიზაცია ორიენტირებულია ევროპის ქვეყნებში (და, მაშასადამე, საქართველოშიც) მეცნიერების თანამედროვე დარგების დანერგვასა და მათ შემდგომ განვითარებაზე. ამასთანავე, ეს არსებითად ნიშნავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ევროპულ აკადემიად აღიარებას და ევროპის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციაში მის გაწევრიანებას.

## გზა ავტონომიისაკენ

### წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის წესდებაზე მუშაობას იწყებს

30 ოქტომბერს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებში თსუ-ს ექვსივე ფაკულტეტიდან 573 პროფესორი და 5817 სტუდენტი მონაწილეობდა.



მე-2 გვერდზე

## რა ცოდნა სჭირდება დღეს ადამიანს?

### მხოლოდ CV-ით წინ ვერ წახვალ...

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თხუთმეტ წელიწადში საქართველო უმუშევართა რაოდენობით ერთ-ერთი პირველია პოსტსაბჭოთა სივრცეში. გარდა იმისა, რომ შემცირდა საწარმოთა რაოდენობა, გაღრმავდა შეუსაბამობა შრომით ბაზარსა და დასასაქმებელთა რაოდენობას შორისაც. ამ ფონზე გამოიკვეთა პრობლემები რამდენიმე მიმართულებით: 1) შეუსწავლელია საქართველოს შრომითი ბაზარი; 2) დამსაქმებელი არ არის ჩამოყალიბებული — რა ტიპის ცოდნას ითხოვს სპეციალისტისაგან; 3) არ არსებობს კოორდინაცია შრომით ბაზარსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის; 4) თანამედროვე სწავლების სისტემა ჯერჯერობით არ შეესაბამება შრომითი ბაზრის მოთხოვნას. მთლიანობაში ეს ერთი ჯაჭვია, საიდანაც პატარა რგოლის ამოგდებაც პროცესის წყვეტილობას იწვევს.

მე-5 გვერდზე

## ვაჟა-ფშაველას პირისპირ

### ინტერვიუ პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძესთან

ვაჟა-ფშაველას გენეალოგიური მუხის ფესვებქვეშ გატარებული 33 წელი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უხუცეს პროფესორს ჯუმბერ ჭუმბურიძეს ჯერ კიდევ არ აძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მან ყველაფერი იცის ვაჟა-ფშაველას შესახებ. ბევრი რამ მას კიდევ გასაგები, გასარკვევი, ჩასაწვდომი და გულიდან ამოსათქმელი დარჩა. მისთვის ადვილი არ არის საკუთარ თავზე საუბარი, მით უფრო, რომ ის ადამიანური ტკივილები, რაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების დასაბამია, მისთვისაც ძალიან ახლობელია და ხელშესახები. პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძის ოჯახის ტრადიციებმა და ბედმა განაპირობა პოლიტიკისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი. მას მუდამ ჰქონდა თავისი პოზიცია და პრინციპი — ამაზე მეტყველებს უნივერსიტეტში მოღვაწეობის ის წლები, როდესაც არჩევანს ყოველთვის მეცნიერების სასარგებლოდ აკეთებდა, თუმცა არასდროს ერიდებოდა პოლიტიკურ შეფასებებს აქტუალურ პრობლემებზე.

მე-9 გვერდზე

## თავისუფლება კულტურის ენით მეტყველებს

### „მნათობის“ პრეზენტაცია

„სიცოცხლე, ცხოველური სამყაროსგან განსხვავებით, არ არის ადამიანის თვითმიზანი. ადამიანი იმდენად არის ადამიანი, რამდენადაც ის იყენებს სიცოცხლეს საშუალებად უფრო მღალი საფეხურისთვის, რაც ცხოვრებაში, როგორც არსებობის საზრისში, იგულისხმება. ადამიანს სიცოცხლე გამზადებული მიეცა, ცხოვრებას კი თავად განამზადებს. ის არის საკუთარი სიცოცხლის ცხოვრებად გარდამქმნელი, ცხოვრებად, რისთვისაც მას უღირს სიცოცხლე," წერს პროფესორი ზურაბ კიკნაძე საპატრიარქოს დახმარებით აღდგენილ ჟურნალ ,,მნათობის" პირველი ნომრის ფურცლებზე. ,,მნათობის" ორი ნომრის პრეზენტაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის ოფისში 30 ოქტომბერს გაიმართა, რომელსაც უწმინდესი და უნეტარესი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაესწრო.

მე-10 გვერდზე

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

### ზოგადი დებულებანი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდეგში — აკადემიური საბჭო) არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას.

2. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა.

3. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითად საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას.

4. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

5. აკადემიური საბჭო მართვას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება;
- თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
- არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა.

6. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

7. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განაღლების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის.

9. აკადემიურ საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის რეგლამენტით, აკადემიური საბჭო წყვეტს დადგენილებით.

10. აკადემიურ საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი წარწერით; „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო".

### თავი I

### აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად:

- შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
- ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;
- თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს — რექტორს;
- წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;
- წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;
- წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;
- მონაწილეობს წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;
- სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;
- ადგენს სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის ცნობის წესს;
- ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოების დებულებებს;
- წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;
- ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;
- ირჩევს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს.
- განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
- ისმენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშს.
- ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

### თავი II

### აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელი

აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი (თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1).

### თავი III

### აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები.

2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება 12 წევრით. თითოეულ ფაკულტეტს ყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი: ჰუმანიტარული ფაკულტეტი — 2 წევრი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი — 2 წევრი, მედიცინის ფაკულტეტი — 2 წევრი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი — 2 წევრი, იურიდიული ფაკულტეტი — 2 წევრი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი — 2 წევრი.

4. აკადემიური საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით, წილისყრით ვლინდება აკადემიური საბჭოს წევრების ერთი მესამედი, რომელთა უფლებამოსილების ვადაა 2 წელი.

5. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება კანონით დადგენილ შემთხვევებში.

6. აკადემიური საბჭო რეგლამენტით გათვალისწინებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, ქმნის დროებით კომისიებს. კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

7. აკადემიური საბჭო საჭიროების შემთხვევაში იწვევს ექსპერტს.

### თავი IV

### აკადემიური საბჭოს საქმიანოგის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო.

2. აკადემიური საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.

3. აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელობს მდივანი, რომელსაც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

### თავი V

### აკადემიური საბჭოს მუშაოგის წესი

**1. აკადემიური საბჭოს სხდომები**

1. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

2. აკადემიური საბჭო იკრიბება ორ კვირაში ერთხელ ორშაბათ დღეს, ან საჭიროებისამებრ. თავმჯდომარეს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3 მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

3. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. ყოველ წევრს უფლება აქვს სხდომის მიმდინარეობის დროს გააკეთოს განაცხადი სხდომის მიმდინარეობის შეწყვეტის ან შესვენების შესახებ.

5. თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.

6. სხდომა შესვენებების ჩათვლით გრძელდება არაუმეტეს 4 საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3 თანხმობით.

**2. დღის წესრიგი**

1. აკადემიური საბჭოს სამდივნო, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.

2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 დღისა.

3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

**3. გადაწყვეტილების მიღება**

კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

**4. ხმის მიცემა**

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა).

2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვის ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

3. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

4. ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.

5. ბიულეტენის შევსებისას აკადემიური საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით.

6. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

**5. ოქმის წარმოება**

აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ოქმი იწარმოება აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ. სხდომის მიმდინარეობა იწერება აუდიო ფირზე. ჩანაწერი სამდივნოს მიერ ინახება ოქმის წერილობით გაფორმებამდე.

2. ოქმი მოიცავს:

- სხდომის თარიღს, დაწყებისა და დასრულების დროს
- სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას
- დღის წესრიგს
- სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს
- განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები გადაეცემა მდივანს ოქმის დანართის სახით.

3. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება აკადემიური საბჭოს ბეჭედი

**6. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება V თავის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

**7. აკადემიური საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის რეგლამენტი ძალაში შედის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" გამოქვეყნებისთანავე.

*უნივერსიტეტში*

# წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის წესდებაზე მუშაობას იწყებს

პირველი გვერდიდან

მათ აირჩიეს წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც 33 წევრისაგან შედგება, მათგან 21 პროფესორია, ხოლო 12 — სტუდენტი.

წარმომადგენლობითი საბჭო 4 წლის ვადითაა არჩეული..

3 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სახდომა გაიმართა.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ახლადარჩეული საბჭო ნომენკლატურული არ არის. მისი თქმით, წარმომადგენლობით საბჭოს ნდობა არცთუ მცირერიცხოვანმა საუნივერსიტეტო საზოგადოებამ გამოუცხადა. თითოეული წევრის მანდატი არჩევნების შედეგად არის დამტკიცებული.

წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას გაუძღვა უხუცესი წევრი, პროფესორი დამანა მელიქიშვილი:

**„— მე მხოლოდ ორიოდე წუთით მივიპყრობ თქვენს ყურადღებას და ვიტყვი, რომ დღეს მე მხვდა პატივი, როგორც უხუცეს წევრს, გავხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი, წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომა.**

**მე მოვესწარი ამ უნივერსიტეტის პირველ პროფესურას და პირველ სტუდენტებს, რომელნიც მაშინ უკვე უნივერსიტეტის უხუცესი წევრები იყვნენ. მქონდა ბედნიერება, მომესმინა მათი ლექციები, მემუშავა მათი ხელმძღვანელობით, ვყოფილიყავი მათი მოწაფე. დღეს, როდესაც უნივერსიტეტი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგას ღვთისა და ერის წინაშე, მე განსაკუთრებით მძაფრად ვგრძნობ, რომ იმათი სულები, ვინც აქ, ამ უნივერსიტეტის წმინდა მიწაში განისვენებს, თავს დაგვტრიალებენ შიშითა და მოლოდინით. წუთია ეს წუთისოფელი, წამისყოფით გაიელვა წინა საუკუნემ ჩვენს თვალწინ: დღეს მე აღმოვჩნდი უხუცესთა შორის და ჩვენ გვხვდა წილად ეს ტვირთი. მალე მოვა ხვალინდელი დღეც, როცა სხვა იტვირთავს ამ პასუხისმგებლობას. ამიტომ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და, მინდა ჩემს თავსაც და თქვენც შეგახსენოთ დავით მეფსალმუნის სიტყვები: „ვითარცა თივა არიან დღენი კაცისანი" — ქარი აღგვის მის ადგილს პირისაგან მიწისა, მაგრამ რჩება მისი ამქვეყნად გაკეთებული ავი თუ კარგი საქმე, რომელიც იმქვეყნადაც მიჰყვება. ამიტომ გავკადნიერდები და მოგიწოდებთ თქვენც და ჩემს თავსაც: ვემსახუროთ არა დროს, არამედ ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების, ავისა და კარგის გარჩევა კი ადამიანს შინაგანი სჯულით აქვს ღვთისაგან მოცემული, „შინაგანი სჯულით", რომელსაც ჩვენ სინდისს ვეძახით (ჩვენი ძველები ამას „გონებით" თარგმნიდნენ). დაე, ყველა ჩვენგანმა ყოველთვის ამ, „შინაგანი შჯულის" კარნახით განსაჯოს ჩვენი საბჭოსათვის მონდობილი საქმე.**



**დღეს განსაკუთრებით რთულ ვითარებაში გვიხდება მუშაობა, როდესაც განათლების რეფორმის პროცესმა უნივერსიტეტის გადარჩენის პრობლემა დააყენა, იმ უნივერსიტეტისა, რომელსაც გასული საუკუნის მე-18 წელს ჩაუყარა საფუძველი ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის დიდებულმა თაობამ. დღეს უნივერსიტეტს გამომცდელად შემოჰყურებს კარგისა და ავისმსურველიც. ნუ დავტოვებთ უნივერსიტეტის ისტორიაში იმ სახელს, რომელიც ეგზარხოსობას დარჩა საქართველოს ისტორიაში".**

სხდომის წამყვანის, დამანა მელიქიშვილის გამოსვლის შემდეგ საარჩევნო კომისიის მდივანმა მაკა ძამუკაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების სია წარმოადგინა: **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან** — ელგუჯა მექვაბიშვილი (სრული პროფესორი), მიხეილ ჩიკვილაძე (ასისტენტ პროფესორი), ელენე ხარაბაძე (სრული პროფესორი), ნუგზარ თოდუა (სრული პროფესორი), სოფიო ქვარცხავა (სტუდენტი), ქეთევან მჭედლიშვილი (სტუდენტი), ზურაბ ჯაში (სტუდენტი); **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან** — დავით კერესელიძე (სრული პროფესორი), შოთა სამსონია (სრული პროფესორი), კობა გელაშვილი (სრული პროფესორი), ამირან ბიბილაშვილი (ასოცირებული პროფესორი), მერი მემარნიშვილი (სტუდენტი), მარი მენთეშაშვილი (სტუდენტი); **იურიდიული ფაკულტეტიდან** — ზურაბ ძლიერიშვილი (სრული პროფესორი), დავით პატარაია (ასოცირებული პროფესორი), რევაზ გოგშელიძე (სრული პროფესორი), მარიამ ჩეკურიშვილი (სტუდენტი), გიორგი შამათავა (სტუდენტი); **მედიცინის ფაკულტეტიდან** — რომან შაქარიშვილი (სრული პროფესორი), ზურაბ ფაღავა (ასოცირებული პროფესორი), ილია მესხიშვილი (სტუდენტი); **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან** — თამარ გაგოშიძე (სრული პროფესორი), თათია მჟავანაძე (ასოცირებული პროფესორი), გიორგი გოგსაძე (სრული პროფესორი), ირაკლი აბესაძე (სტუდენტი); **ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან** — კახაბერ ლორია (ასოცირებული პროფესორი), რამაზ ქურდაძე (ასოცირებული პროფესორი), დამანა მელიქიშვილი (სრული პროფესორი), ქეთევან ხუციშვილი (სრული პროფესორი), ცირა ბარამიძე (სრული პროფესორი), ცოტნე ზურაბიანი (სტუდენტი), ნინო ლომოური (სტუდენტი), ავთანდილ აბდუშელიშვილი (სტუდენტი).

წარმომადგენლობითმა საბჭომ უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, სპიკერის არჩევის საკითხი განიხილა. მაკა ძამუკაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო საარჩევნო პროცედურა და სავარაუდო კანდიდატად თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქართულ ლიტერატურაში კახაბერ ლორია დაასახელა. კანდიდატის ასარჩევად გამართულ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა საბჭოს 32-მა წევრმა მიიღო, მათგან წარმოდგენილ კანდიდატს მხარი 28 წევრმა დაუჭირა, 4-მა თავი შეიკავა.



კახაბერ ლორია

ხმათა უმრავლესობით წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერად აირჩიეს **კახაბერ ლორია,** რომელმაც წევრებს ნდობისათვის მადლობა გადაუხადა. **„ვეცდები, იმგვარად წარვმართო ჩემი საქმიანობა, რომ, მალე, იმ ოთხი კანდიდატის ნდობაც მოვიპოვო, რომლებმაც თავი შეიკავეს ჩემი კანდიდატურის არჩევისას".** — განაცხადა ახლადარჩეულმა სპიკერმა.

9 ნოემბერს საბჭოს წევრები კვლავ შეიკრიბებიან და აირჩევენ კომისიის წევრებს, რომლებიც იმუშავებენ საბჭოს წესდებასა და დებულებაზე.

# ტელევიზიების კარები ახალბედა ჟურნალისტებისთვის დახურულია

პირველი გვერდიდან



წილდა ჩვენი ფაკულტეტის სხვა და სხვა მიმართულებაზე. კერძოდ, 19 კაცი „შეიფარეს" ჟურნალისტებმა, 14 — სოციოლოგებმა. დანარჩენი ფსიქოლოგიამ, პოლიტიკურმა მეცნიერებებმა და საერთაშორისო ურთიერთობამ. რაც შეეხება მე-3 და მე-4 კურსელებს, ისინი აგრძელებენ სწავლას PR -სპეციალობით.

**ჩვენ ვიხელმძღვანელეთ „ნაკლები ბოროტების" პრინციპით, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ უმეტეს შემთხვევაში ის მასწავლებლები, ვინც ცდილობდა ესწავლებინათ პიარი რაღაც დონეზე, თავსაც იტყუებდნენ და სტუდენტებსაც ატყუებდნენ. როცა ჩავიხედეთ სილაბუსებში, რომლებითაც ამ სპეციალობაზე ლექტორები საგნებს კითხულობდნენ, აღმოჩნდა, რომ ისინი ნაჩქარევად არის შედგენილი.**

ამიტომ ჩვენ ახალგაზრდები გადავიყვანეთ ისეთ სპეციალობებზე, სადაც მართლა გვაქვს კვალიფიკაცია. კიდევ ვიმეორებ, ჯერჯერობით უნივერსიტეტს არ აქვს იმის საშუალება, რომ ამ ეტაპზე სტუდენტს მივცეთ მაღალი დონის პიარ-განათლება.

მართალი იყო ის ყმაწვილი, რომელმაც შეკითხვა დასვა — მაშ, ჩვენ ახლა მე-3 და მე-4 კურსელებს ვატყუებთ? ასე გამოდის, მაგრამ იმათ იმდენი სპეციფიკური საგანი აქვთ გავლილი, თავიდან ვერ დავაწყებინებთ სხვა სპეციალობის შესწავლას.. მე ისიც მაშინებს, რომ მათ გაუჭირდებათ საბაკალავრო შრომების დაწერა, რადგან თეორეტიკოსები ამ სპეციალობაში არ გვყავს. ვინც გვყავს, ისინი ძირითადად პრაქტიკოსები არიან, შრომის დაწერას კი კარგი თეორიული ლიტერატურა სჭირდება.

ამ ეტაპზე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზანია, რომ კარგი კურიკულუმები და სალექციო თუ სასემინარო სამუშაოების გეგმა შევიმუშაოთ, ჩავრთოთ ყველა, ვისაც ამ პროცესში დახმარება შეუძლია, მაგრამ ეს ერთ და ორ თვეში არ გაკეთდება. მძიმე და შრომატევადი სამუშაოა ჩასატარებელი.

რაც შეეხება ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ დასმულ შეკითხვას, ტელევიზიებში პრაქტიკის გავლის თაობაზე, ვეთანხმები მათ. ჟურნალისტიკა ხელობაა და თუ სტუდენტს არ მიეცი სათანადო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა, კარგი სპეციალისტი ვერ დადგება. ზოგადად, პრაქტიკა სტუდენტის სწავლების მესამედს უნდა შეადგენდეს.

**რაც შეეხება ტელევიზიებს, მათთან, ალბათ ცალკე მუშაობაა ჩასატარებელი და ეს უნდა დაარეგულიროს უნივერსიტეტმა. ადრე მიზერულ თანხას ვუხდიდით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკას აძლევდნენ, ახლა რაღაც სხვა გზებია მოსაძებნი.** ალბათ, ჩვენც რაღაც უნდა შევთავაზოთ მათ, რომ წამოვიდნენ თანამშრომლობაზე.

ცისფერი მთები

# დიდი „ფანჯარა" ლექციებს შორის

## სტუდენტი: — მინდა ბუფეტი! მინდა ბიბლიოთეკა!... სახლში მინდა!

ნინო კაკულია

საუნივერსიტეტო რეფორმამ სტუდენტებს არდადეგები გაუხანგრძლივა. აუცილებელი ოპერაცია — სტუდენტთა რეგისტრაცია, სტუდენტებისთვის შფოთვით, მაგრამ, რაც მთავარია, უმტკივნეულოდ ჩატარდა. ის დრო, როგორც ჩანს, წავიდა, როდესაც სტუდენტებს ლექციების გაცდენა უხაროდათ და ამაზე ოცნებობდნენ კიდეც. დღეს ისინი აუდიტორიების მოძებნისა და ბევრი მსმენელის გამო ლექციების ნაწილობრივ ჩაშლის პრობლემებზე პრეტენზიებს გამოთქვამენ. სისტემა — სტუდენტი ირჩევს, სტუდენტი აფასებს, მათ ძალიან მოსწონთ, მაგრამ საგნები როგორ უნდა აირჩიონ და ლექტორები როგორ უნდა შეაფასონ — ამ კუთხით, ჯერ, ბოლომდე, ვერ ჩამოყალიბებულან.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წელი ბევრი სიახლით და პრობლემით დაიწყო, გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის" მიერ უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსებულ ყუთებში, წარწერით — ,,შეკითხვა რექტორატს", მხოლოდ ის შეკითხვები აღმოჩნდა, რაც საყოფაცხოვრებო პრობლემებს უკავშირდება. ყურადღებას ამჯერად არ გავამახვილებთ იმ ბილწსიტყვაობაზე, რაც ზოგიერთის ,,გზავნილებში" ამოვიკითხეთ.

მაღლივი კორპუსიდან „მაშველ რგოლს" ბუფეტის გასახსნელად ითხოვენ. როგორც სტუდენტები, ისე პროფესორ-მასწავლებლები შეწუხებულნი არიან იმ პრობლემით, რომ მაღლივ კორპუსში ყველას თანაბრად შია, დასანანყრებლად ახლო-მახლო არც სასადილო და არც კაფეა.

ყუთებში ჩაყრილი წერილებიდან ჩანს, რომ აქტუალურია უნივერსიტეტის კორპუსებში საპირფარეშოების კეთილმოწყობის საკითხიც. **ვიცინოთ თუ ვიტიროთ? ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როცა სტუდენტის მოთხოვნა — ჯერ ჭამა, მერე გავლა და შემდეგ სწავლა — მისალებად უნდა ჩაითვალოს.** დასმულ შეკითხვებს — როდის გაგვიკეთებენ ბუფეტს? გვექნება თუ არა ნორმალური საპირფარეშო? — დროულ რეაქციად თვლის სოციოლოგი ამირან ბერძენიშვილი.

**ამირან ბერძენიშვილი, სოციოლოგი:**

— ბუფეტის გახსნის საკითხი არა მხოლოდ მაღლივ კორპუსში და არა მარტო სტუდენტებს უნდა აწუხებდეს, არამედ ყველას, ვისაც უნივერსიტეტში ყოფნა უწევს. ახალ სასწავლო სისტემაზე გადასვლის შედეგად ლექციებს შორის, ასე ვთქვათ, დიდი ფანჯარაა. სტუდენტთა უმრავლესობას პირველი ლექცია შეიძლება ჰქონდეს ცხრის ნახევარზე, მომდევნო კი — 12 საათისთვის. ,,უფანჯრო" სისტემა არ არსებობს. კარგი განათლების სისტემა სწორედ იმას მოითხოვს, რომ როდესაც ლექციებს შორის სტუდენტს თავისუფალი დრო რჩება, მან ეს დრო რაციონალურად უნდა გამოიყენოს. რას ნიშნავს ეს? აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა მოეწყოს ნორმალური ბიბლიოთეკები, რათა სტუდენტებმა ,,ფანჯრის" პერიოდი წიგნის წასაკითხად გამოიყენონ. მაგრამ მათ ჭამაც ხომ უნდათ? სად დასხდნენ? სად ისადილონ?



თუ გვინდა, ეს ახალი სისტემა ნორმალურად ავაწყოთ, უნივერსიტეტში ორი აუცილებელი პრობლემა უნდა მოვაგვაროთ — ეს არის ბიბლიოთეკა და სასადილო. ეს არის აუცილებელი ატრიბუტი, რომლის გარეშეც ახალი სისტემა ვერ იმუშავებს. ბიბლიოთეკაში შევიკრიბებით პროფესურასთან, სტუდენტებთან, სასადილო იქნება თუ კაფე, ადამიანები დავუახლოვდებით ერთმანეთს — ასე რომ, ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.

ნორმალური ქვეყანა რომ ვიყოთ, ასეთ მოთხოვნას არც უნდა აყენებდნენ. სტუდენტს არ უნდა სჭირდებოდეს იმის თქმა, რომ წესიერი საპირფარეშო გაკეთდეს. სირცხვილია ეს! პროფესორებიც უხერხულ სიტუაციაში ვარდებიან, რადგან კარები არ იკეტება. დამლაგებლების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ასუფთავებენ. თვითონ საპირფარეშოს სისტემა არის არათანამედროვე. **არ შეიძლება თანამედროვე განათლების სისტემა ძველი ატრიბუტებით მოაწყო. ბავშვების შენიშვნას მხარს ვუჭერ, რომ საქმე, პირველ რიგში, ასეთი სველი წერტილების მოწესრიგებით უნდა დაიწყოს. განათლების რომელ დონეზეა საუბარი, როცა ელემენტარული პირობები არ არსებობს?**

**თუ ამას დროულად არ გააკეთებს უნივერსიტეტი, მაშინ თქვენს ყუთებს წალეკავს სარკასტული წერილები და წამოვა დაცინვა, ირონია. მემგონი ყუთები გაქრება საერთოდ...**

## შეკითხვა რექტორატს

**მაია ჭაფოძე, ჟურნალისტიკის სპეციალობა:**

**— რა საჭიროა ყოველ სემესტრში რეგისტრაციის გავლა და სტუდბილეთის გამოცვლა?**

**ჯემალ სოლოღაშვილი, სასწავლო პროცესის მართვისა და რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:**

რეგისტრაციის მიზანია, რომ უნივერსიტეტმა ყოველ სემესტრში ზუსტად აღნუსხოს აქტიური სტუდენტების კონტინგენტი. უნივერსიტეტი ამ რაოდენობის მიხედვით თვლის თავის ფინანსურ შემოსავლებსა და ეკონომიკურ ხარჯებს, ბიბლიოთეკის მომსახურების და სხვა შესაძლო შეღავათებს. სტუდბილეთის ყოველსემესტრული შეცვლა იმდენად აიოლებს სტუდენტთა მომსახურებას საუნივერსიტეტო ერთიან სივრცეში, რომ ღირს მასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაღება. ნავარაუდევია, უახლოეს მომავალში რეგისტრაციის სქემის უფრო მოხერხებული ვერსიის შექმნა და ამოქმედება.

**ანდრო ტყეშელაშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი:**

**— რატომ გააუქმეს ამერიკანისტიკის სპეციალობა? მთელი კურსი შეწუხებულია ამის გამო, ახლა ვართ ანგლისტიკაზე და ყოველი მეორე ლექცია ცდება. ცხრილი გაურკვეველია, რატომ?**

**დარეჯან თვალთვაძე, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი:**

სამაგისტრო დონეზე არც ერთი სპეციალობა არ არის გაუქმებული. მაგისტრებს პირველ სემესტრში შარშან დამტკიცებული პროგრამის მიხედვით წაეკითხებათ ლექციები, მეორე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის გამოეყოფათ 30 კრედიტი. მაგისტრანტი, რომელმაც აირჩია ამერიკანისტიკა, ჩვეულებრივად გააგრძელებს სწავლას.

რაც შეეხება ბაკალავრებს, მეორე სემესტრიდან, 60 კრედიტის შესავსებად შევთავაზებთ დამატებითი (minor) პროგრამებს, ისინი აირჩევენ და მიიღებენ დამატებით სპეციალობას, როგორიცაა თარჯიმან-რეფერენტი, სარედაქციო-საგამომცემლო საქმე, ამერიკანისტიკა.

სამომავლოდ ახალ საბაკალავრო პროგრამებზე გამოცხადდება კონკურსი. თუ მასში დასაბუთებულ ახალ პროგრამას შემოიტანენ ამერიკანისტიკაში ან ნებისმიერ სხვა სფეროში, რომელიც ჩვენი ახალი კლასიფიკაციით დაშვებული იქნება, განიხილება და სათანადო დასკვნების გაკეთების შემდეგ დაინერგება კიდეც.

რეგისტრაცია წელს პირველად ჩატარდა და, ბუნებრივია, თან ახლდა სირთულეები. ახლა ეს პროცესი დასრულდა. მართალია, ბევრი რამ კიდევ არის დასალაგებელი და მოსაგვარებელი, მაგრამ მე იმედი მაქვს, მეორე სემესტრში ყველაფერი უფრო კარგად იქნება.

**სტუდენტი (სახელი და გვარი არ დაასახელა):**

**— გვაინტერესებს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე იქნება თუ არა მაგისტრატურა? (,,ჰაერში დარჩენილი მაგისტრანტები")**

**ლელა ჯანაშვილი, რექტორის თანაშემწე:**

თსუ აკადემიურმა საბჭომ ოთხ ფაკულტეტზე დაამტკიცა სამაგისტრო პროგრამები. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 9 სამაგისტრო პროგრამა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 17, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე — 6 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე —9. საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ 25 ნოემბრამდე გაგრძელდეს პროგრამების წარმოდგენა. 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე შესაბამის ფაკულტეტებზე იწარმოებს საბუთების მიღება. მისაღები გამოცდები დაინიშნება იანვარში, ხოლო სწავლა 17 თებერვალს დაიწყება. მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად საბუთების შემოტანა შეუძლიათ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს. სწავლის ხანგრძლივობაა ორი წელი. მაგისტრატურის არასაბიუჯეტო სექტორის სტუდენტებისათვის სემესტრული საფასური 850 ლარი იქნება.

**სტუდენტი (სახელი და გვარი არ დაასახელა)**

**— შეიძლება თუ არა ფაკულტეტის შეცვლა პირველივე კურსზე?**

**თინათინ კაკუშაძე, სასწავლო პროცესის მართვისა და რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელს ფაკულტეტის შეცვლა შეუძლია პირველი სემესტრის დახურვის შემდეგ, მხოლოდ უნივერსიტეტში.

სასწავლებლის შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დახუროს პირველი კურსი სრულად.

**მესამეკურსელი სტუდენტები (სახელი და გვარი არ დაასახელეს):**

**ვინც დაუსწრებელზე ვსწავლობდით, გვეშველება თუ არა რამე? იქნებ ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება.**

**თინათინ კაკუშაძე, სასწავლო პროცესის მართვისა და რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე:**

თსუ-ში დაუსწრებელი სწავლების ფორმა გაუქმებულია. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები დღის სწავლების შესაბამისი ფაკულტეტების შესაბამის სპეციალობებზე გადანაწილდნენ. ხოლო არასაბიუჯეტო განყოფილების სტუდენტებს შეუნარჩუნდათ დაუსწრებელი სწავლების ტარიფი.

**პედაგოგები:**

**— პირველი კორპუსის საპროფესოროში განთავსებულია საერთასორისო ეკონომიკური სკოლის ოფისი. ეს დროებითი ამბავია თუ არა? პედაგოგებს აუცილებლად სჭირდებათ საპროფესორო. ხომ წარმოუდგენელია სკოლა სამასწავლებლოს გარეშე?**

**არჩილ ჯორბენაძე, თსუ საერთაშორისო ეკონომიური სკოლის მატერიალური რესურსების მენეჯერი:**

სკოლის ოფისი დროებით განთავსდა თსუ პირველი კორპუსის საპროფესოროში. მთავრობამ სკოლისთვის გამოყო 7 სართულიანი შენობა. როგორც კი პირველი სამი ფლიგელი გარემონტდება და ეს, სავარაუდოდ, მარტში იქნება, ჩვენ დავცლით საპროფესოროს. ხოლო საპროფესორო დაუბრუნდებათ თუ არა პროფესორებს, ამას ალბათ ადმინისტრაცია გადაწყვეტს.

**სტუდქალაქში მცხოვრები სტუდენტები:**

**— როგორც მოგეხსენებათ, თსუ-ს სტუდქალაქში ელექტროენერგია მოდის მხოლოდ 2 საათით (17 საათიდან 19 საათამდე), რის გამოც სტუდენტებს ძალიან გვეშლება ხელი მეცადინეობაში. რამდენ ხანში შეძლებთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას?**

**დავით ქოქოსაძე, ბაგების სტუდქალაქის მმართველი:**

ჩვენ, თსუ ბაგების სტუდქალაქის ხელმძღვანელობა, ვცდილობთ ელექტროენერგიის პრობლემა მეტ-ნაკლებად მაინც მოვაწესრიგოთ, ამ მიზნით თსუ და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ერთობლივად ვაფორმებთ ხელშეკრულებას სს „თელასთან" დავალიანების რესტრუქტურიზაციისა და ურთიერთვალდებულებების შესახებ. ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დავსვით საკითხი, რომ ბაგების სტუდქალაქის სტუდენტთა საცხოვრებელი მე-2 და მე-3 კორპუსები დარეგისტრირდეს ცალკე აბონენტებად და მოხდეს მათი ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, დახარჯული ენერგია დროულად დავფაროთ. ჩვენი მოთხოვნები გავაცანით თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ხუბუას. მისი ბრძანებით, მიმდინარე წლის დავალიანების დასაფარავად გამოგვეყო 17 370 ლარი. თანხა უკვე თელასის ანგარიშზე გადავრიცხეთ. ასე რომ, დღეს სტუდენტთა კორპუსს დავალიანება აღარ აქვს. საქმე სასიკეთოდ დაიძრა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

# რა შენიშვნები აქვს მრჩეველთა საბჭოს

## მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა

მაია ტორაძე

მრჩეველთა საბჭო, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ინიციატივით შეიქმნა, რეფორმის პროცესში აქტიურად ერთვება. დებულება საბჭოს უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ჯერ კიდევ მუშავდება, მაგრამ რექტორისა და საბჭოს წევრების პირველ შეხვედრაზე უკვე განისაზღვრა, რა სირთულეების დაძლევაში დაეხმარებიან ისინი უნივერსიტეტს.

რეფორმები მძიმედ მიმდინარეობს და შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული. ასეთ დროს ნებისმიერი რჩევა, მით უფრო ღვაწლმოსილი უნივერსიტეტელებისაგან, ღირებულია. თანამშრომლობა შედგა. საბჭოს წევრთა გამოცდილება, რაც მართლა ფასდაუდებელია, საუნივერსიტეტო რეფორმას სასიკეთოდ წაადგება.

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ჩვენს მიერ დასმულ ორ შეკითხვას გასცეს პასუხი:

**1) რა ფუნქციები დაეკისრა მრჩეველთა საბჭოს?**

**2) კონკრეტულად რა პრობლემებზე იყო საუბარი რექტორთან პირველი შეხვედრისას?**

### ყველაზე მეტად სამეცნიერო მუშაობისა და სწავლის ინტეგრირების საკითხი მაწუხებს

**ვაჟა ოკუჯავა:**

— მრჩეველთა საბჭო გონივრულად მოფიქრებული და შექმნილი რგოლია. პირველივე სხდომაზე ბევრ საკითხს შევეხეთ. წინადადებები, რომელიც დაისვა ბატონ ხუბუასთან, მართლა გასათვალისწინებელია და, ვფიქრობ, ჩემი კოლეგების რჩევა დაეხმარება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას პრობლემების გადაწყვეტასა და საქმიანობის სწორად წარმართვაში.



იმისთვის, რომ ჩვენი მუშაობა შედეგიანი იყოს, გადავწყვიტეთ, საბჭო ორ კვირაში ერთხელ შეიკრიბოს და გვქონდეს კონკრეტულად განსაზღვრული სამოქმედო პროგრამა.

ამ ეტაპზე ყველაზე მეტად მაწუხებს უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობისა და სწავლის ინტეგრირების საკითხი, რაზეც, ვფიქრობ, მომავალში გვექნება საუბარი.

### მიზანშეუწონლად მიმაჩნია, ცალკე საგნად შემოვიდეს „აკადემიური წერა“

**მარიამ ლორთქიფანიძე:**

— მრჩეველთა საბჭოს კომპეტენციის თაობაზე მუშავდება დებულება, რომლის პროექტს ყველა ჩვენგანი გაეცნობა და მონაწილეობას მიიღებს მის საბოლოო რედაქტირებაში. ამ ეტაპზე საუბარი შემიძლია მხოლოდ რექტორის განცხადებებზე დაყრდნობით.

ბატონ გიორგი ხუბუას თქმით, ჩვენ ძალიან ბევრი ფუნქცია და მოვალეობა დაგვეკისრება. მაგალითად, უფლება გვექნება, შევამოწმოთ ცხრილები და პროგრამები, დავესწროთ ლექციებს, მოვისმინოთ, რას კითხულობს და როგორ კითხულობს ლექტორი, რამდენად ემთხვევა სილაბუსს წაკითხული ლექციის შინაარსი. კონკრეტული მოსაზრების გაჩენის შემთხვევაში, უფლება გვაქვს, დავწეროთ მოხსენებითი ბარათი და წარვადგინოთ შესაბამის სამსახურში. ვფიქრობ, ამ საკითხში ძალიან ობიექტურები უნდა ვიყოთ.



გარდა ამისა, დღეს მე განმეორებით დავსვი საკითხი, რომელსაც საბჭოს ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. ჩემი აზრით, უნივერსიტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს სკოლაში პედაგოგად მუშაობის უფლება უნდა დავუბრუნოთ. მაგალითად, ისტორიის ფაკულტეტზე უნდა აღდგეს როგორც პედაგოგიკის თეორიული კურსის სწავლება, ასევე პედაგოგიური პრაქტიკა სკოლაში. როგორც გაირკვა, ამ საკითხის მოსაგვარებლად კანონში უნდა შევიდეს ცვლილება. მიმაჩნია, რომ, თუ საჭიროა, ასეც უნდა მოხდეს, რადგან კანონს ადამიანები ადგენენ და თუ ის ვერ ამართლებს, მასში ცვლილება უნდა შევიდეს. შესაძლოა, წლევანდელი გამოშვებისთვის ამ პრობლემის მოგვარება არ მოესწროს, მაგრამ მომავლისთვის უნდა გაითვალისწინონ.

ასევე, აუცილებლად მიმაჩნია უნივერსიტეტში ფაქტობრივად გაუქმებული სამეცნიერო ნაწილის აღდგენა, რადგან უნივერსიტეტი არის სასწავლო-სამეცნიერო უმაღლესი სასწავლებელი.

უნდა მოხდეს ცვლილებები სასწავლო ნაწილშიც. კერძოდ, უნდა შეირჩეს საგანთა ის ნუსხა, რომელიც ნამდვილად სჭირდება სტუდენტს. პირადად მე მიზანშეუწონლად მიმაჩნია ცალკე საგნად შემოვიდეს — „აკადემიური წერა“. რას ნიშნავს აკადემიური წერა? წერა-კითხვა თუ არ იცის ახალგაზრდამ, როგორ დაამთავრა სკოლა და როგორ მოხვდა უნივერსიტეტში? წერა უნდა იცოდეს და თუ აქ საქმიანი ტექსტების შედგენის სწავლება იგულისხმება, ეს უნდა ასწავლოს სემინარის თუ პრაქტიკულის ხელმძღვანელმა. ამას არ სჭირდება ცალკე დისციპლინა.

ჩემი აზრი მაქვს საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებითაც. რამდენიმე კაცის წასვლა, მაგალითად, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის მიმართულებიდან, ამ ფაკულტეტის დონის დაწევა არის. რჩება შთაბეჭდილება, რომ თავად კონკურსის საფუძვლები იყო ცუდად წარმოდგენილი. შერჩევა მოხდა არა სპეციალობების მიხედვით, არამედ რაოდენობრივად. წინასწარ განისაზღვრა არა ის, თუ რამდენი პროფესორი და ასოცირებული პროფესორი სჭირდებოდა კონკრეტულ მიმართულებას, არამედ მთლიანი რაოდენობა — ერთ ფაკულტეტზე უნდა იყოს ამდენი სრული პროფესორი, ამდენი ასოცირებული პროფესორი და ა. შ. საბოლოოდ მივიღეთ სურათი, რომ არქეოლოგიაში არ არის არც ერთი სრული პროფესორი. სამაგიეროდ, ხელოვნების ისტორიაში, სადაც სულ ოთხი კაცი მუშაობს — ორი სრული პროფესორი და ორი ასოცირებული პროფესორია, ასისტენტ-პროფესორი საერთოდ არ ჰყავთ. ეს რომ თავიდან აგვეცილებინა, ჩემი აზრით, კონკურსი უნდა ჩატარებულიყო დარგების მიხედვით. ამის თაობაზე რექტორთან შეხვედრის დროსაც განვაცხადე და მიმაჩნია, რომ მომავალ კონკურსებში უნდა გაითვალისწინონ ეს მოთხოვნა.

ისიც უნდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტმა ამ პერიოდში დიდი დარტყმა გადაიტანა. განუწყვეტლივ ისმოდა, რომ უნივერსიტეტში კორუფციაა, უნივერსიტეტში სწავლების დაბალი დონეა და ა.შ. სხვა უმაღლეს სასწავლებელში არ იყო კორუფცია? იყო, მაგრამ არცერთ უმაღლეს სასწავლებელზე ასეთი დარტყმა არ განხორციელებულა. ალბათ იყო დარღვევა, ალბათ ვილაც კადრულობდა იმას, რასაც ამბობენ, მაგრამ არ შეიძლება ეს ბრალდება მთელი უნივერსიტეტის მისამართით ისმოდეს. თუ იციან, რომ კორუფციაა, ისიც ეცოდინებათ, ვინ იყო ამაში გარეული და კონკრეტულად ამ პიროვნებას წაუყენონ ბრალდებაც და გაატარონ სათანადო ღონისძიებებიც. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის მიმართ ასეთმა ბრალდებებმა საზოგადოებაში მისი ავტორიტეტი დაბლა დასწია. ახლა ამის გამოსწორება ადვილი აღარ არის და რადგანაც ადვილი არ არის, ამიტომაა საჭირო, ამ ეტაპზე მაინც, დაფიქრებით მოქმედება.

### თანახმა ვარ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვიმუშაო მრჩეველთა საბჭოში

**თამაზ გამყრელიძე:**

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ არის ჩვეულებრივი უმაღლესი სასწავლებელი. აქ მოხდა, ფაქტობრივად,



ქართული მეცნიერების აღორძინება. შემთხვევითი არ არის, რომ ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის გახსნა დაამთხვია დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. ამით მან ხაზი გაუსვა, რომ თბილისის უნივერსიტეტი არის გელათის აკადემიის მემკვიდრე და გამგრძელებელი იმ მაღალი ტრადიციებისა, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ XII საუკუნეში ჩაეყარა. თბილისის უნივერსიტეტის მემკვიდრეა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. სწორედ აქ, პირველ ქართულ უნივერსიტეტსა და ეროვნულ აკადემიაში, ჩაეყარა საფუძველი საქვეყნოდ ცნობილ ქართულ სამეცნიერო სკოლებს: მათემატიკურ, ფიზიოლოგიურ, სააღმოსავლეთმცოდნეო, ენათმეცნიერულსა და სხვ.

ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა, აღვადგინოთ და შევინარჩუნოთ ის მაღალი დონე და ფუნქცია, რომელიც ისტორიულად დაეკისრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მის ისტორიაში ნგრევის და დაშლის პერიოდებიც იყო, როცა უნივერსიტეტი დაატოვებინეს მრავალ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილსაც... მაგრამ უნივერსიტეტმა მოახერხა ფეხზე დადგომა და ისტორიული ფუნქციების დაბრუნება. დღესაც დგას ამოცანა ჩვენი უნივერსიტეტის, როგორც წამყვანი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დამკვიდრებისა. იმედი მაქვს, რომ ახლადჩამოყალიბებული მრჩეველთა საბჭო ამ ფუნქციის შესრულებას ეცდება. ამაში ვხედავ მე ამ საბჭოს ძირითად დანიშნულებას.

პირადად მე, რექტორთან შეხვედრაზეც განვაცხადე და ახლაც ვიმეორებ, თანახმა ვარ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვიმუშაო მრჩეველთა საბჭოში და შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყო ჩვენი უნივერსიტეტის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების მაღალ ამოცანას. გასამრჯელოს უნივერსიტეტისაგან მივიღებ, ალბათ, როგორც მოწვეული პროფესორი, ჩატარებულ ლექციებსა და სემინარებში...

### თუ მოისმენენ ჩვენს აზრს, ბევრ კარგ რჩევას მივცემთ

**მზექალა შანიძე:**

— მრჩეველთა საბჭოს წევრებს მთელი



ლი ცხოვრება უნივერსიტეტში აქვთ გატარებული და უნივერსიტეტისთვის კარგი უნდათ, თუმცა მე ერთხელ უკვე განვაცხადე — ამ საბჭოს შექმნა დაგვიანებულია. ცოტა ადრე რომ შექმნილიყო, ამდენი მტკივნეული პრობლემა აღარ დაგროვდებოდა.

ახალ გარემოში ბევრი რამ ახლებურადაა გასაკეთებელი. მართალია, მრჩეველთა საბჭო არ არის გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე, მაგრამ თუ მოისმენენ ჩვენს აზრს, ბევრ კარგ რჩევას მივცემთ რექტორსაც და მთლიანად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასაც.

### მაგისტრატურისთვის ორი წელი ცოტაა

**თეიმურაზ იოსელიანი:**

— რექტორატის მიმართ ბევრი რჩევა მაქვს. ჩემი აზრით, სერიოზული მუშაობაა ჩასატარებელი თანამედროვე,



სტუდენტისთვის გასაგები ენით დაწერილი სახელმძღვანელოების შესაქმნელად. დღემდე არსებული სახელმძღვანელოები სერიოზულ გადახედვას და დახვეწას საჭიროებს.

გადასახედია თავად კანონიც. თუ ბაკალავრიატდამთავრებული სპეციალისტი არ არის, მაშინ მან დიპლომი არ უნდა აიღოს. მაგისტრატურა, ჩემი აზრით, გამიზნული უნდა იყოს სამაგისტრო დისერტაციის დაცვისთვის. ამასთან, უნდა გაიზარდოს მოთხოვნები მაგისტრანტის მიმართაც. მათი სწავლებისთვის გამოყოფილი 2 წელი ცოტაა.

რაც შეეხება თავად სწავლების ხარისხს, აკადემიური კონკურსის ასეთი ფორმით ჩატარება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ლექტორებად უნდა შეირჩნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მცოდნენი არიან და გასაგებად კითხულობენ ლექციებს. სტუდენტის შეფასება უნდა ხდებოდეს ობიექტურად, სწავლაში შეღავათს არავის უნდა აძლევდნენ.

### ამ საბჭოს შექმნით რექტორმა სწორი ნაბიჯი გადადგა

**ოთარ ჯაფარიძე:**

— მრჩეველთა საბჭოს შეკრება ძირითადად ზოგადი საკითხების განხილვას ეხებოდა. მათ შორის, ისეთ საკითხებს, რომელსაც აღარაფერი ეშველება. მაგალითად, კონკურსების საკითხი, რომლის შედეგადაც ბევრი ცნობილი მეცნიერი დარჩა გარეთ. განა შეიძლება, უნივერსიტეტში გივი ბოლოთაშვილი ან ნათელა ვაჩნაძე ლექციებს არ კითხულობდნენ? სტუდენტები ახლაც განიცდიან იმას, რომ მათთვის ავტორიტეტული პედაგოგები აღარ ასწავლიან. მათ ადგილზე კი მოვიდა კონტინგენტი, რომლის დიდ ნაწილს ლექცია არასოდეს წაუკითხავს და ახლა იდგამს ფეხს, როგორც ლექტორი.

აკადემიური კონკურსის არასწორად ჩატარებამ გამოიწვია ის, რომ დღეს უნივერსიტეტში, ფაქტობრივად, ისტორიის მთლიანი კურსი, დაწყებული უძველესი ერიდან, დამთავრებუ-



ლი უახლესი ისტორიით, არ ისწავლება. ამოვარდა პერიოდები, რომლის სპეციალისტები კონკურსის შედეგად უნივერსიტეტის გარეთ დარჩნენ. უფრო მეტს გეტყვით, ეთნოგრაფია, როგორც დარგი, ჩათვალეთ, რომ გაუქმებულია.

კარგი იქნებოდა, მრჩეველთა საბჭო ცოტა ადრე შექმნილიყო და საკონკურსო კომისიის წევრებისთვისაც ეკითხათ რამე, რომ ლაფსუსები არ ყოფილიყო და ასეთი უკმაყოფილებაც აღარ იქნებოდა. თუმცა, ვფიქრობ, ამ საბჭოს შექმნით მაინც სწორი ნაბიჯი გადადგა რექტორმა, რადგან ასეთი თანამშრომლობა დაეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

შეკრებაზე ითქვა და აუცილებლად უნდა განვახორციელოთ ლექციების ხარისხის შესწავლა. ამის შემდეგ ჩვენი თვალსაზრისი და რეკომენდაციები უნდა წარვუდგინოთ შესაბამის სამსახურს.

ჩვენი შეხვედრა საკმაოდ კონსტრუქციული იყო. ვისაუბრეთ როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ პრობლემებზე. წინასწარი განცხადებით, ჩვენ კოორდინაციაში ვიქნებით აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებები და მოვალეობები ბევრი გვექნება, მაგრამ საჭიროა ეს უფლება-მოვალეობები დებულებით განისაზღვროს, რომელიც უკვე მუშავდება.

# რა ცოდნა სჭირდება დღეს ადამიანს?

„...ჩვენში არავინ, არც დიდი არც მცირე არ იტვირთებს, მაგალითად, კუპრიელის გაკეთებას ან ყასბობას... არ ითაკილებს სთქვას: მე ეს ხელობა არ შემისწავლია... და არ შემიძლია, შევასრულო... მაგრამ იგივე პირი... დაუფიქრებლად მზადაა იკისროს, მაგალითად, მსაჯულობა, ბანკირობა, ქალაქის მმართველობა და სხვა ამგვარი თანამდებობა. თითოეულ ამ თანამდებობას... ასჯერ უფრო მეტი ცოდნა და დამზადება სჭირია, ვინემ ყასბობას, მაგრამ... კაცი არ გამოჩენილა ჩვენში, რომელსაც სინდისი გაღვიძებოდეს ამგვარი თანამდებობის მიღების დროს და ეთქვას: ... მე მისი აღსრულება არ შემიძლიანო და მასზე უარი ეთქვას“. ეს სიტყვები ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის და, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტია, რაც დაიწერა, ზუსტად ასახავს დღევანდელი საზოგადოების ფსიქოლოგიას. ამბიცია — ვიყოთ პირველნი და რაც შეიძლება მოკლე დროში ვიშოვოთ ბევრი ფული, საბოლოო ჯამში ძალზე ცუდ სამსახურს უწევს ერსაც და ქვეყანასაც.

მაია ტორაძე

პირველი გვერდიდან

საიდან უნდა დავიწყოთ? რა კონკრეტული სამუშაოები უნდა ჩავატაროთ, რომ კონკურენტუნარიანმა სპეციალისტმა შრომით ბაზარზე თავის დამკვიდრება შეძლოს? რა ცოდნა სჭირდება დღეს ახალგაზრდას, რომ დამსაქმებელი დააინტერესოს? გარდა პროფესიონალიზმისა, თანამედროვე შრომითი ბაზარი სპეციალისტისაგან დამატებით ითხოვს სხვა თვისებებსაც — კომუნიკაბელურობას, აზროვნების ფართო სპექტრს, ანალიზისა და შრომის ბაზარზე ორიენტირების უნარს. რა სამუშაოებია ჩასატარებელი ამ ცოდნის მისაღებად განათლების სისტემაში?

## სტუდენტს ხშირად ვასწავლით იმას, რაც არ სჭირდება

**მარინე ჩიტაშვილი, ფსიქოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:**

„ დავიწყოთ იმით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო აღმოჩნდა პრობლემების წინაშე, რაც გამოიხატება იმაში, რომ დღემდე არ გვაქვს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. ეს გულისხმობს იმას, რომ თუ ადამიანი იღებს, მაგალითად, ფსიქოლოგის სპეციალობას, განსაზღვრული უნდა იყოს, სად შეიძლება დასაქმდეს, რა კვალიფიკაცია და კომპეტენცია უნდა ჰქონდეს, როგორც ფსიქოლოგს, რომ სამუშაო ადგილი იშოვოს. ასევე არ აქვს განსაზღვრული პროგრამა განათლების სისტემას, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ვერ გადავიდა თავისუფალი ბაზრის მოთხოვნებზე.

რა იგულისხმება განათლების სისტემისათვის თავისუფალ ბაზარში?

ეს გახლავთ არჩევანის თავისუფლება — მე ვამთავრებ უმაღლესს, მაქვს შეძენილი გარკვეული ცოდნა და უნარები და თვითონ ვიწყებ თავისუფალი შრომის ბაზარზე ჩემი ადგილის პოვნას.

თავისუფალი შრომის ბაზარი იყოფა სპეციალისტებისათვის და ზოგადი განათლების მქონე ადამიანებისათვის. განათლების სისტემაში ამის ანალოგი გახლავთ ბაკალავრიატი და მაგისტრატურა.

იმ კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ჩვენ მივიღეთ 2005 წელს, ახალგაზრდა სპეციალობას იღებს მაგისტრატურის დასრულების შემდეგ. იქვე ჩადებულია მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ არსებობს სპეციალობები, რომელიც შეიძლება მომზადდეს ბაკალავრიატის დონეზე. ანუ უკეთ თუ შევხედავთ განათლების სისტემას და იქ თავმოყრილ სასწავლო პროგრამებს, ის პირობითად შეიძლება დავყოთ სტანდარტულ და თავისუფალ სასწავლო პროგრამებად.

კანონში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რა ტიპის ცოდნით უშვებს უმაღლესი სასწავლებელი ადამიანს და რამდენად გამოყენებადია ეს ცოდნა თანამედროვე ბაზარზე. მაგალითად, ისეთი პროფესიები, როგორიც არის მასწავლებლის მომზადება, იურისპრუდენცია და მედიცინა, არის რეგულირებადი და შესაბამისად, სახელმწიფო ადგენს კომპეტენციებს, როგორი ტიპის პროფესიონალი სჭირდება მას დასაქირავებლად. არსებობს სტანდარტული პროფესიები, მაგალითად, ეკონომიკა, რომელშიც განსაზღვრულია — თუკი ადამიანი ბაკალავრიატს ამთავრებს, რა ტიპის კურსები უნდა ჰქონდეს გავლილი, როგორ უნდა იყოს ეს პროგრამა აწყობილი და რა ცოდნა უნდა ჰქონდეს მას. ეს არ ეხება მაგისტრატურას, ეხება ბაკალავრიატს.

ამ ტიპის სასწავლო სისტემის შესაქმნელად მხოლოდ ახლა მიმდინარეობს პირველი მოსინჯვები და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის გარდა, განათლების სისტემის ინსტიტუტები არ არიან აწყობილი ამ პრინციპზე.

თუ თქვენ მოისმენთ დისკუსიას განათლების საკითხებზე, ხშირად წააწყდებით შეკითხვას — კი მაგრამ, სად უნდა იმუშაოს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულმა, სად არის მისი ადგილი? ეს, მართალი გითხრათ, არავინ იცის. სამაგიეროდ ვიცით, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებული კვალიფიკაციით უფრო დაბალი ადამიანი ჰგონიათ, რაც შეცდომაა. უბრალოდ, ის არ არის რომელიმე ერთი კონკრეტული დარგის სპეციალისტი. ის არის გათვითცნობიერებული, მომზადებული ადამიანი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და გაღრმავებული ცოდნა ერთ რომელიღაც ფართო მიმართულებაში. ასეთი ადამიანი კი შეიძლება აღმოჩნდეს დაკავებული ნებისმიერ ინსტიტუციაში, სადაც საქმე ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობას. ეს შეიძლება იყოს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სტრუქტურები და თუ ადამიანს მოუნდება, რომ რაღაცა ტიპის სპეციალისტად ჩამოყალიბდეს, მას შეუძლია უკან დაბრუნდეს მაგისტრატურაში და დასპეციალდეს.

თუ შევხედავთ ამ პროცესებს იმ კუთხით, თუ როგორ უნდა გადავაწყოთ განათლების სისტემა ისე, რომ ის ადეკვატური იყოს შრომითი ბაზრისადმი, უნდა გაკეთდეს შრომითი ბაზრის შეფასება და იმ სასწავლო პროგრამების ანალიზი, რასაც შრომის ბაზარი ითხოვს.

პირობითად ავიღოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩემი აზრით, ჩვენ სერიოზულად წავაგეთ ბიზნესის ადმინისტრირების ბაზარი ESM-თან და კავკასიის ბიზნეს სკოლასთან. მათი კურსდამთავრებულები უფრო ადვილად პოულობენ ადგილს შრომით ბაზარზე, რასაც ვერ ახერხებენ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

შევხედოთ რეალურად — რა არის ამის მიზეზი? ის, რომ იმ ორი სასწავლო დაწესებულების სასწავლო პროგრამა არის აბსოლუტურად ადეკვატური იმისა, რასაც ითხოვს შრომითი ბაზარი. ჩვენ შემთხვევაში ასეთი სისტემა არ არის აწყობილი. ჩვენ სტუდენტს ვასწავლით ბევრ ისეთ რამეს, რაც დამქირავებელს არ სჭირდება.

მეცნიერებას არ უყვარს დროში გაყინვა. ის არის ცოცხალი პროცესი. პარალელურად, სწავლაც ცოცხალი პროცესია და ამიტომ ის ყოველთვის მიჰყვება დროის დაკვეთას.

იმისთვის, რომ გავიგოთ, რა ცოდნა სჭირდება დღეს ადამიანს, ჩემი აზრით, უნდა შევისწავლოთ შრომის ბაზარი და თუკი დამქირავებელი გვეუბნება, რომ მჭირდება კონკრეტულად ეს ცოდნა შენი კურსდამთავრებულიდან, რა პრობლემაა, დასხდნენ ფაკულტეტის მესვეურები და შეისწავლონ — რა სჭირდებათ მათ, რომ დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნა.

ერთ მაგალითს მოვიყვან — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ცოტა ხნის წინ ძალიან მცირე დოზით იყო წარმოდგენილი მათემატიკა. ძირითადი დრო მიდიოდა ეკონომიკის თეორიებისა და ძალიან დაწვრილმანებული საგნების სწავლებაზე, მაშინ, როდესაც ამ ფაკულტეტზე კურიკულუმის ან სასწავლო პროგრამის ერთი მესამედი აგებული უნდა იყოს მათემატიკის სწავლებაზე. ამის ყველაზე დიდი არგუმენტი გახლავთ დაკვირვება — თუ გადავხედავთ საერთაშორისო ეკონომიკის სკოლის მაგისტრატურაში გამარჯვებულებს, ვნახავთ, რომ ისინი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის წარმომადგენლები არიან.

არის თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების შესაძლებლობა? ჩემი აზრით, არის. უბრალოდ, ვიღაც უნდა დაჯდეს და დაითვალოს ეს ყველაფერი.

კიდევ ერთი სუბიექტური მიზეზი იმისა, რომ არაადეკვატურნი ვართ — არ არსებობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს შინაარსების დახვეწას. ჩვენ ვცხოვრობთ კონტინენტური ევროპის სისტემაში, სადაც სახელმწიფო წარმოადგენს დამკვეთს. ამიტომ საჭიროა ანალიზი — თუკი მე არ მეცოდინება, რომ ვისაც ვასწავლი ან ვამზადებ, ამ ხალხისთვის სივრცე არის, მაშინ მე ვამზადებ უმუშევართა კოჰორტას.

იმისათვის, რომ სასწავლო პროგრამები იყოს ადეკვატური, საჭიროა ანალიზი, დაგეგმვა და განვითარება. უმაღლეს სასწავლებლებში ამას აკეთებენ ინსტიტუციონალური კვლევის ერთეულები. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იცნობენ როგორც განათლების სისტემას, ასევე ფლობენ გაზომვების ხერხებს და ატარებენ კვლევას, რის საფუძველზეც ახდენენ შეთავაზებებს სასწავლო პროგრამებისთვის — რა იქნება უკეთესი სტუდენტისთვის, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ის კონკურენტუნარიანი იყოს შრომით ბაზარზე“.

რეფორმა კვალიფიციური სპეციალისტის პრობლემას თანდათან გადაჭრის. მიღებული ცოდნისა და შრომითი ბაზრის ადეკვატურობის პრობლემა კი სახელმწიფოებრივი ზრუნვის ობიექტი უნდა გახდეს, რადგან განათლების პოლიტიკას სწორედ სახელმწიფო ატარებს. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კვალიფიციური სპეციალისტების მოჭარბება არ მოხდეს?




## ამდენი იურისტის მომზადება საქართველოს უკვე აღარ სჭირდება

**იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი, სოციოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი:**

„საქართველოში რაღაცნაირად უნდა იქნეს დაცული ბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, იმიტომ, რომ არსებობს გარკვეული სპეციალობები და სფეროები, რომლებითაც საქართველოს შრომის ბაზარი გაჯერებულია. ხდება რესურსების გადახარჯვა. მაგალითად, მე ვფიქრობ, რომ ამდენი იურისტის მომზადება საქართველოს უკვე აღარ სჭირდება.

უნდა გაანალიზდეს, რა სპეციალობებზე არსებობს დღეს დაკვეთა სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ახალგაზრდას ავუკრძალოთ განათლების მიღება, მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ საქართველოს შრომის ბაზარი და მოთხოვნის ხარისხი, ანუ სოციალური დაკვეთის მოცულობა ამა თუ იმ სპეციალობაზე არის დაბალი, განათლების სამინისტრო სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ქვეყანაში განათლების პოლიტიკა აწარმოოს. შესაბამისად უნდა მოხდეს იმ კურიკულუმების განვითარება და სპეციალობებზე მისაღები ადგილების კვოტების გაზრდა, რომელსაც სისხლხორცეულად მოითხოვს დღევანდელი საქართველო. მაგალითად, მე ვფიქრობ, რომ ტექნიკური განათლების, კვალიფიციური მენეჯმენტის სწავლების თვალსაზრისით, საქართველოში კატასტროფული ვითარებაა და ამას სჭირდება საგანმანათლებლო პოლიტიკაში ჩართვა.

განათლება თავად უნდა იყოს კვალიფიციური. პირველი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება, სპეციალობების ადეკვატური კურიკულუმების შექმნაა, მეორე — შეიძლება ადეკვატური კურიკულუმები შეიქმნას, მაგრამ ამას რესურსი და კადრი სჭირდება. მე შეიძლება დავწერო გადასარევი საგანთა ჩამონათვალი, შევქმნა მშვენიერი კურიკულუმი, მაგრამ ვერ აღმოვაჩინო ადამიანური რესურსი, რომელიც ამ კურიკულუმს აამუშავებს. საჭიროა ამ რესურსის მობილიზება. თუ ეს რესურსი არ არსებობს, მაშინ არც კურიკულუმის შექმნას აქვს აზრი.

მაშ, თუ ჩვენ სტუდენტს მივაწვდით ადეკვატურ კურიკულუმს, ეს არის ძირითადი პირობა იმისათვის, რომ მან შეიძინოს ისეთი კვალიფიკაცია, რომლითაც დასაქმდება.

ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ექსპერტების დახმარება, იქნება ეს ე.წ. მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი ვიზიტები. ყველა შესაძლო შემთხვევა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ საერთაშორისო სტანდარტები რაღაცნაირად იყოს ჩართული სწავლების სისტემაში, მაგრამ პარალელურად უნდა მოხდეს ადამიანური რესურსების გადამზადებაც. უცხოელ ექსპერტს ყოველთვის ვერ ჩამოიყვან, რადგან, ჯერ ერთი, ძვირია, მეორეც, მდგრადობის თვალსაზრისით, არც თუ ნაყოფიერი.

შესაბამისი კვალიფიკაცია და კონკურენტუნარიანობა იქნება საკმარისი საფუძველი, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყოს აქტიური სამსახურის მოძებნის თვალსაზრისით. როდესაც ადამიანებს არ ყოფნით შესაბამისი კვალიფიკაცია, მათ არც ჟინი და ნება აქვთ იმისა, რომ მიიღონ კონკურსებში მონაწილეობა და სხადასხვა ასპარეზზე ჩაებან კონკურენციაში.

არის კიდევ ერთი მოთხოვნა — საუნივერსიტეტო აკადემიურმა სივრცემ უნდა დაამყაროს ინტენსიური კავშირი კონკრეტულ ორგანიზაციასთან. როდესაც ვამბობ, რომ ბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის უნდა იყოს დაცული, ამ ბალანსის ერთერთი გამოხატულება სწორედ ეს არის. თუ უნივერსიტეტს ეცოდინება რომ, რომელიმე წამყვან ორგანიზაციას სჭირდება გარკვეულ დარგში გარკვეული სპეციალისტი, ამ ორგანიზაციასა და უნივერსიტეტს შორის შედგება კონვენცია, ანუ გაფორმდება ხელშეკრულება, რომ უნივერსიტეტი მას ამ სპეციალისტებს მოუმზადებს. ეს არის მშვენიერი პრაქტიკა, რომელიც უნდა ამოქმედდეს. ასე მუშაობენ წამყვანი უნივერსიტეტები გარკვეულ ორგანიზაციებთან, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს აუცილებელი ვალდებულების საგნად, არ უნდა დაკანონდეს. მაგალითად, ფილოსოფოსს რომ მოთხოვო, შენ თუ არ მონახავ ორგანიზაციას, რომელიც ამ ადამიანს დაგისაქმებს, გაგაუქმებ, არ იქნება სწორი, რადგან, ვისაც არ შეუძლია ამ ტიპის პრაქტიკის შექმნა, ამისთვის არ უნდა დაისაჯოს.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. არსებობს სპეციალობები, რომელთა კურიკულუმების ნაწილი უნდა იყოს პრაქტიკის გავლა, ანუ სტუდენტებმა უნდა დააგროვონ კრედიტების გარკვეული რაოდენობა პრაქტიკის საფუძველზე. მაგალითად, ჩვენ გვაქვს სპეციალობა სოციალური სამუშაო, რომელიც 2006 წლიდან ამოქმედდა და მისი კურიკულუმის მესამედი განკუთვნილია პრაქტიკულ სამუშაოზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტი ვერ აიღებს დიპლომს და არ მიენიჭება სპეციალობის ესა თუ ის ხარისხი — საბაკალავრო ან სამაგისტრო, თუ მას არ აქვს ე. წ. პრაქტიკული სწავლების კრედიტები დაგროვილი. ეს ეხება ყველა სპეციალობას, რომელიც, ასე თუ ისე, მიბმულია ემპირიასთან. სასწავლო პროგრამების ფარგლებშივე უნდა მოხდეს ინტენსიური კონტაქტი ორგანიზაციებთან“.

## როგორ მივაწოდოთ დამსაქმებელს ჩვენი ცოდნა?

**ნუგზარ თოდუა, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი:**

„დღეისათვის სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში შეიმჩნევა პროფესიონალთა სიმცირე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბევრს გააჩნია ცოდნა და ვერ ახერხებს წინსვლას ბაზარზე.

როგორ უნდა დააინტერესოს ადამიანმა დამსაქმებელი? ამისთვის საჭიროა ისეთი სამსახურების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მონაცემთა ბაზის შექმნას. შრომის ბირჟა, რომელიც დღეს ფუნქციონირებს, არ არის საკმარისი. ამიტომ თითოეულ ადამიანს ინდივიდუალურად უხდება თავისი ადგილის დამკვიდრება და სამსახურის მოძიება. ცივილიზებულ ქვეყნებში ასე არ ხდება. არსებობენ სამსახურები, რომლებიც ხელს უწყობენ, მოიძიონ და დაასაქმონ პროფესიონალური კადრები.

როგორ უნდა იპოვოს ახალგაზრდამ თავისი ადგილი შრომის ბაზარზე? როგორ უნდა მიაწოდოს დამსაქმებელს ის, რაც მას აქვს — ცოდნა?

ჯერ ერთი — ცოდნა უნდა იყოს ძალზე მაღალხარისხიანი; მეორე — უნდა ვიცოდეთ, ვის სჭირდება ჩვენი პროდუქცია (ცოდნა), უნდა გავთვალოთ და შევისწავლოთ ბაზრის ის ნაწილი, ნიშა, რომელსაც სჭირდება ჩვენი პროდუქცია; მესამე — უნდა შეგვეძლოს სამუშაო ადგილების მოძიება — ინფორმაციის შეგროვება ვაკანსიების შესახებ. უნდა არსებობდეს ერთგვარი ბანკი სამუშაო ადგილების შესახებ და ფლობდე ინფორმაციის მოძიების ხერხებს. რეკლამები ბუკლეტები, ინტერნეტი — ყველაფერი უნდა გამოიყენო. უნდა შეადგინო შენი CV, დაგზავნო ყველა შესაძლო ადგილას, წარადგინო შენი თავი — მე ესა ვარ, ეს შემიძლია და ა. შ. მნიშვნელოვანია პირადი კონტაქტები და უნარი — გაავრცელო ინფორმაცია შენს შესახებ. შესაძლებელია, მართლა კარგი ცოდნა გაგაჩნია და პროფესიონალი ხარ, მაგრამ თუ ეს კარგად არ შეფუთე და მიაწოდე მყიდველს (ამ შემთხვევაში დამსაქმებელს), ის არ იყიდის და ცოდნა შეუსყიდავი დარჩება. ამიტომ არის აუცილებელი, რომ ადამიანი ფლობდეს ელემენტარულ ცოდნას ამ ხერხებისა და მეთოდების შესახებ.

საქართველოს კიდევ ერთი პრობლემა აქვს. არ იცნობს თანამედროვე ბიზნესისა და მარკეტინგის მთავარ თავისებურებას — ურთიერთობის მარკეტინგს. ცალმხრივი ურთიერთობა არ არსებობს, ბიზნესმენიც უნდა ცდილობდეს მოძებნოს პროფესიონალი კადრი. რატომ არ მოდიან უნივერსიტეტში ცნობილი ბიზნესმენები, რატომ არ ხვდებიან სტუდენტებს, არ არჩევენ? ორმხრივი თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და ბიზნესსექტორს შორის სტუდენტისთვისაც სტიმული იქნება, რომ მაღალ დონეზე დაეუფლოს პროფესიას და კიდევ მეტად გაიზარდოს.

მახსოვს, ადრე შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო. უნივერსიტეტში შემოვიდნენ ცნობილი ბიზნესმენები და ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაგრამ როცა პრაქტიკის გავლის საკითხი დადგა, ყველამ თავი შეიკავა. არადა, ისინი თავად უნდა დაინტერესდნენ, რომ ჩვენი კარგი სტუდენტი ან სპეციალისტი არ გაიქცეს უცხოეთში, სადაც ჭკვიანები ამ ინტელექტუალურ რესურსებს პოულობენ. საქართველოს კი ეს დანაკარგი მალე დაემჩნევა.

პრობლემაა ისიც, რომ განსაზღვრული არ არის, რომელი ხარისხის მფლობელი ახალგაზრდა სად დასაქმდება.

უცხოეთში ასეულ ათასობით დოლარი იხარჯება, რომ მომზადდეს პროფესიონალი სპეციალისტი. ახალგაზრდა ძალიან ბევრს იხდის იმისათვის, რომ მიიღოს პროფესიონალური განათლება. თუკი შეიძლება რომ ნებისმიერმა სპეციალისტმა ნებისმიერი ადგილი დაიკავოს, მაშინ აზრი არ ჰქონია პროფესიულ განათლებას.

ეს არის ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ქვეყანამაც უნდა განსაზღვროს და უნდა დაადგინოს ერთხელ და სამუდამოდ, ვის რა თანამდებობის დაკავება შეიძლება მომავალში. რა უფლებები შეიძლება ჰქონდეს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს და რა თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მაგისტრატურის კურსდამთავრებული.

ჩემი ნება რომ იყოს, მარკეტინგის საფუძვლებს ყველა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში შევიტანდი, რომ ახალგაზრდას არ გაუჭირდეს შრომით ბაზარზე ორიენტირება.

# „საქართველოსთვის!"– უკრაინელი და ქართველი სტუდენტები რუსული აგრესიის წინააღმდეგ

## თსუ-ს სტუდენტურმა თვითმმართველობამ იგორ ლიტოვსკას უმასპინძლა

შურთხია ბეროშვილი



საქართველოსა და უკრაინას ერთმანეთთან ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. კომუნისტური რეჟიმის სამოცდაათწლიანმა ბატონობამ ორი პატარა ერის ბედი ერთმანეთთან მრავალი ობიექტური მიზეზით კიდევ უფრო შეაკავშირა. თავისუფლებისადმი განსაკუთრებული სწრაფვა, საკუთარი სამშობლოს ეროვნული ტრადიციების დაცვა, სულიერი ნიშას შენარჩუნება ორივე ქვეყანას თავგანწირული ბრძოლის ფასად უხდებოდა. თუ ისტორიულ პარალელებს კვალდაკვალ მივყვებით, მაშინ აღარავის გაუკვირდება,,,ვარდების რევოლუციას" ლოგიკურად ,,ნარინჯისფერი რევოლუცია" რომ მოჰყვა.

ეს დიდი მეგობრობა, რომელიც არასდროს შენელებულა, ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოსა და უკრაინის რევოლუციების შემდგომი პერიოდი სწორედ ამ ურთიერთობების გაღრმავებით გამოიხატა. ორივე ქვეყნის ახალგაზრდული ორგანიზაციები მუდმივად თანამშრომლობენ და ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ.

უნივერსიტეტმა ამჟამად უკრაინული ახალგაზრდული ორგანიზაციის ,,ზა გრუზიუ" თავჯდომარეს იგორ ლიტოვსკას უმასპინძლა. შეხვედრა სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით გაიმართა. სტუდენტებით გადაჭედილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი საოცარი სითბოთი შეხვდა კოლეგას. მათ ერთმანეთთან სათქმელიც ბევრი ჰქონდათ...

ყველაფერი ,,სუამის" ქვეყნების ახალგაზრდული ორგანიზაციის სამიტზე დაიწყო, რომელსაც საქართველოს, უკრაინის, მოლდოვეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხვა საკითხებთან ერთად სამიტმა ამ ქვეყნებში ახალი პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების გეგმა განიხილა და განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები შეაფასა. ასევე, აქცენტი გაკეთდა ამ სახელმწიფოებს შორის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განახლებაზე.

როგორც სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი აღნიშნავს, სამიტზე ჩასული საქართველოს წარმომადგენლობა გაცვლითი პროგრამით დაინტერესდა და უკრაინის დელეგაციასთან მოლაპარაკება გამართა. ,,იგორ ლიტოვსკა ამ დელეგაციის ხელმძღვანელი იყო, იგი კარგად იცნობდა საქართველოს, ამიტომ ჩვენს მიმართ თავიდანვე საოცარი სითბოთი განეწყო და ურთიერთთანამშრობლობის მზადყოფნა გამოხატა." — განაცხადა ავალიანმა.

იგორ ლიტოვსკა ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია. ორი თვის წინ მისი ინიციატივით დაფუძნდა უკრაინის ახალგაზრდული ორგანიზაცია ,,ზა გრუზიუ". როგორც თვითონ აღნიშნავს, რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინას შორის ბოლო დროს ხელოვნურად დაძაბული ურთიერთობები არც ისე ,,კომფორტულია" და დემოკრატიულ პრინციპებს სრულიად ეწინააღმდეგება. რაც შეეხება ეკონომიკურ ემბარგოს, მისი თქმით, ასეთი ზეწოლისაგან არც უკრაინაა დაზღვეული. ამ შემთხვევაში მეგობარი ქვეყნის თანადგომა და სოლიდარობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

**იგორ ლიტოვსკა:**

,,ჩვენს ინიციატივას უკრაინაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ოცამდე სხვადასხვა ორგანიზაციამ სურვილი გამოთქვა - საქართველოსთვის მხარდაჭერა გამოეხატათ. ისინი მართლაც შემოგვიერთდნენ და აქტიურად გამოეხმაურნენ იმ პრობლემებს, რომლებიც კიევში რუსეთის საელჩოს წინ გამართულ აქციებზე წამოვაყენეთ. ჩვენი ინიციატივით ამ აქციებზე პოპულარიზაცია გავუკეთეთ ქართულ პროდუქციას. მოქალაქეებს ვურიგებდით ქართულ ,,ბორჯომს" და სხვა მინერალურ სასმელებს. მინდა აღვნიშნო, რომ უკრაინის მოსახლეობის აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანია. ისინი გმობენ რუსეთის პოლიტიკას. აქციებზე ჩვენ აგრეთვე მოვუწოდეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაეცვათ ქართული სახელმწიფოს ინტერესები.

გარდა ამისა, ჩვენ არაერთი პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი, რომელიც უკრაინა-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურება.

**14 დეკემბერს უკრაინაში ქართული კინოს ფესტივალი დაიწყება, რომელიც ერთ კვირას გასტანს. ქართული კინოს მიღწევები და თქვენი კინო-შედევრები ჩვენი მაყურებლისთვის, მეტ-ნაკლებად, ცნობილია. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევრებიც. ასეთი კულტურული პროექტები უკრაინაში ინტენსიურად განხორციელდება."**

### 100 ქართველი სტუდენტი უკრაინაში ისწავლის

#### გაცვლითი პროგრამა

ქართველი სტუდენტებისათვის ერთგვარი სიურპრიზი აღმოჩნდა იმის გაგება, რომ უკრაინის ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით უახლოეს მომავალში განხორციელდება გაცვლითი პროგრამა, რაც ითვალისწინებს ორი ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტთა განათლების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, ამ უნივერსიტეტებს სისტემატური კავშირი ექნებათ ერთმანეთთან, რაც სხვადასხვა კულტურულ-საზოგადოებრივი ღონისძიების მოწყობას ითვალისწინებს.

იგორ ლიტოვსკას სტუმრობის ერთერთი მიზანი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გაცნობაც იყო. ,,ვიცით, რომ განათლების სისტემაში რეფორმები წარმატებით ხორციელდება. ჩვენ მივესალმებით თქვენს ყველა ახალ ინიციატივას. ამასთან, იმედს გამოვთქვამთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპულ სტანდარტებს მალე მიუახლოვდება". — აღნიშნა სტუმარმა.

**იგორ ლიტოვსკას ინფორმაციით, გაცვლით პროგრამაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და მალე ასამდე ქართველ სტუდენტს შესაძლებლობა მიეცემა უკრაინის უნივერსიტეტებში გააგრძელოს სწავლა.**

უკრაინელი კოლეგის ამ ინიციატივას დარბაზში ქართველი სტუდენტების აღფრთოვანება და ოვაციები მოჰყვა. სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით კი იგორ ლიტოვსკა ამ ორგანიზაციის საპატიო წევრად აირჩიეს. ქართველმა სტუდენტებმა დიდი სურვილი გამოთქვეს უკრაინაში სწავლის გაგრძელების თაობაზე.

**ნატა უზუნაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:**

— ჩემთვის აქამდეც ბევრი რამ იყო ცნობილი უკრაინის უნივერსიტეტის შესახებ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი პრეზიდენტის მაგალითიც კმარა, რომ შთაბეჭდილება შეგვექმნას, თუ რა მაღალი კვალიფიკაციის სტუდენტებს ამზადებენ იქ. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამაზე უკეთეს სასწავლებელს სად ნახავ. მოხარული ვიქნები, თუ ამ პროექტში მოვხვდები.

**მარიამ ჩეგურიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:**

— ჩემთვის საინტერესო იქნება ისეთ ქვეყანაში სწავლა, რომელსაც საუკეთესო ტრადიციები აქვს. ამასთან, საშუალება მექნება, შევადარო ჩემი ქვეყნისა და უკრაინის უნივერსიტეტების სწავლების სისტემა. ცნობილია, რომ ორივე ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები სულ ახლახან მოხდა. მაინტერესებს, როგორ დაძლია იგივე პრობლემები უკრაინამ. კარგი იქნება, თუ ამ პროექტში მოვხვდები, ბოლოს და ბოლოს ახალ გარემოს გავიცნობ, ახალ მეგობრებს შევიძენ და ა.შ.

**აკაკი სტურუა, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი:**

— ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტს თვითონ უკრაინის სახელმწიფო დააფინანსებს და სტუდენტების წასვლას მთლიანად ის უზრუნველყოფს.

იგორ ლიტოვსკა სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, როდესაც ორი წლის წინ ურეკში ჩამოვიდა დასასვენებლად: ,,საქართველოზე ბევრი მსმენია, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახმა მოსმენილს გადააჭარბა. მას შემდეგ ქართველებს ჩემს ძმებად და მეგობრებად ვთვლი. ამ აზრს იზიარებს ბევრი ჩემი თანამემამულე. ამ მეგობრობას წინ ვერაფერი დაუდგება."

იგორმა ამ ზაფხულს სტუდენტურ ბანაკებში 50 უკრაინელი ჩამოიყვანა დასასვენებლად. ყველა მათგანისათვის ვარციხეში გატარებული ორი კვირა დაუვიწყარი იყო. იგორ ლიტოვსკას, ალბათ, დიდხანს არ გაჰყვება მეგობრების ნაჩუქარი „მუკუზანი" და „ბორჯომი", მაგრამ სითბო, რომელიც უნივერსიტეტის კედლებში დაახვედრეს — სამუდამოდ!

# ყველა სიტყვას აქვს უფლება – მოკვდეს ტექსტში

## ახალგაზრდა მწერალი ლაშა ბუღაძე სტუდენტებს შეხვდა

შურთხია ბეროშვილი

**ნოდარჩუკა, ნინო, პუპა, ნუციკო, ლელუკა, ანდრიკო, თეიკო... ლაშა ბუღაძის ახალი რომანის „ბოლო ზარის" პერსონაჟები არიან. ჩვენი კარგი ნაცნობები ყოველდღე ჭავჭავაძის პროსპექტზე სეირნობენ და, ასე ვთქვათ, ძველი თაობის ადამიანებისთვის გაუგებარ ენაზე და თემებზე საუბრობენ. ხანდახან იმდენად უჩვეულოა ეს დიალოგები, რომ „პროსტა", შეიძლება, „დაიშოკო". თუმცა, როგორც არ უნდა „ავარდნენ" ოპონენტები, რომანში აღწერილი დიალოგები რეალურია და ამ ფაქტს ყველაზე მეტად თანამედროვე მწერალი ვერ გაექცევა.**

თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ერთ-ერთ აუდიტორიაში ახალგაზრდები მწერალს სწორედ „ბოლო ზარის" შემდეგ შეხვდნენ და იქვე სასიამოვნო ინფორმაციაც მოისმინეს.

**ლაშა ბუღაძე:** „მკითხველი მალე მიიღებს ჩემს ახალ წიგნს, რომელიც ბოლო ზარის შემდგომ პერიოდს ასახავს. „ოქროს ხანა" ასე ჰქვია ახალ რომანს, რომელიც სტუდენტურ ცხოვრებას ასახავს. ეს არის კრიტიკული ანალიზი თანამედროვე ყოფისა. რომანში აღწერილია სტუდენტების ცხოვრების კონკრეტული ეპიზოდები, რომელიც განიხილება, როგორც კრიტიკული ანალიზი თანამედროვე ყოფისა."

სტუდენტების დაინტერესება გამოიწვია, თუ რატომ იყენებს მწერალი თავის ნაწარმოებებში ასე თამამად ჟარგონს და სლენგს. ამ კითხვაზე პასუხი ბატონმა ლაშამ ქართული ლიტერატურის მოკლე ექსკურსით დაიწყო:

„თანამედროვე ლიტერატურა წინ უფრო მეტად სოციალურ ასპექტებს წამოწევს. 30-იანი წლების ლიტერატურა ეზოპური ნიშნით ხასიათდება, ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. გაბატონებული იყო ცენზურა, ამიტომ მწერალს საკუთარი აზრის გადმოცემა ალეგორიული გზით უწევდა. ასე დამკვიდრდა მეტაფორული ენა. 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ამის საშიშროება გაქრა და შესაბამისად, მოკვდა მეტაფორა. ფორმისეული თვალსაზრისით მწერლებმა წერა გულწრფელად დაიწყეს. ნელ-ნელა ვუახლოვდებით მსოფლიო ესთეტიკურ პრინციპებს, რომელსაც ძველი მწერლებიდან მიხეილ ჯავახიშვილი იზიარებდა.

ჟარგონი, სლენგი — ჩვენი ყოველდღიურობაა. ლიტერატურა არ არის მხოლოდ პედაგოგიკა. ყველა სიტყვას აქვს უფლება — მოკვდეს ტექსტში. თუ მოქმედება ხდება ციხეში ან სადარბაზოსთან, ბუნებრივია, პერსონაჟები უნდა საუბრობდნენ მათთვის დამახასიათებელი ლექსიკით და არა „შუშანიკის ენით". მკითხველმა უნდა დაუჯეროს მწერალს და მის გმირებს."

### ლაშა ბუღაძის დიალოგი სტუდენტებთან

**— რა არის მიზეზი, რომ დღეს წიგნის კითხვა ,,მოდური" აღარ არის?**

— ასი წელი, დამეთანხმებით, ისტორიისთვის არც ისე დიდი დროა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცოდა წერა-კითხვა. ეს თემა დღესაც ოდიოზურად ჟღერს. აკაკიმ, ილიამ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა ერს ქართული გენეზისი შეუნარჩუნეს. ამას უკავშირდება ისიც, რომ მათ შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. იქნებ არ დაიჯეროთ, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩვენი მოსახლეობის ერთი პროცენტიც არ ყიდულობს წიგნს. ამავე დროს იყიდება ყვითელი პრესა — სამოცდაათი პროცენტით. რატომღაც ქართველებს გვეზარება წიგნის კითხვა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც წიგნს სანაპიროზე ან ტრანსპორტში არ კითხულობენ. ეს არის ფსევდო ფასეულობების ბრალი. ნელ-ნელა გაჩნდა პოზიტიური ამბიცია, რომ რაღაც გვაინტერესებს და რაღაც უნდა დავძლიოთ.

**— თქვენი პიესები განსაკუთრებული სითამამით გამოირჩევა, თუნდაც სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლი გავიხსენოთ. მასში ყველამ დღევანდელი პრეზიდენტი ამოიცნო.**

— სხვათაშორის, ეს პიესა გაცილებით ადრეა დაწერილი, ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა, თუმცა არ უარვყოფ, რომ სტურუასეული პერსონაჟი პრეზიდენტს მართლაც ჰგავს. ამ მხრივ, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდება. ვფიქრობ, ნებისმიერი ხელოვნება კნინდება, თუ ის გადადის პაროდიის რეჟიმში. ერთს კი დავამატებდი, ჩვენს საზოგადოებაში, ჯერჯერობით, ვერ ჩამოყალიბდა აზროვნების სწორი ფორმა. ჩვენ უფრო მესიას ვირჩევთ და არა ქვეყნის მმართველს, არ "დაგვავიწყდა" სტალინური გამოცდილება. გავრბივართ არჩევნებზე — შემდეგ ვბრაზდებით, არჩევანის გაკეთების შემდეგ რაღაცები რატომ აღარ მოგვწონს. საზოგადოებას შეუძლია, გააფუჭოს თავისი ხელისუფალი.

**— რას ფიქრობთ რუსულ აგრესიაზე?**

— რუსეთ-საქართველოს ისტორია არის მუდმივი გაწბილების ისტორია. რაც უფრო თანმიმდევრულნი ვიქნებით, მით უკეთესია ჩვენთვის. მე მინახავს ბევრი ქართველი, ჯერ კიდევ თვითგვემით რომ არის დაკავებული და მოსწონს „მიმინოს" როლში ყოფნა. ვფიქრობ, ჩვენმა ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა გაიაზროს, რა სურს რუსებისგან. მთავარია, ჩვენი პოზიცია გასაგები იყოს. ადამიანმა ყველა ხიდი ერთდროულად არ უნდა აიფეთქოს.



**შეხვედრის ბოლოს მწერალმა ლაშა ბუღაძემ წარმატების ერთერთი მზა რეცეპტი მიაწოდა სტუდენტებს. „მოიწამლეთ წიგნით, რადგან ყოველგვარი წარმატება ინტელექტის, ერუდიციის გარეშე წარმოუდგენელია. ჩემი თუ არ გჯერათ, პლატონს მაინც დაუჯერეთ, რომელიც ბრძანებს: ყოველი წიგნის წაკითხვის შემდეგ უფრო უკეთესი ხდები, ვიდრე იყავი.**

# „როცა მიმზიდველია სახლში დარჩენა, მაშინ ადამიანს არ სურს უცხოსთან წასვლა“

## საუბრები ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიაზე

ანა კირვალიძე

*ინტერვიუ თსუ-ში მოწვეულ ერფურტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორთან ვილჰელმ შმიდტთან*

**— უკვე დიდი ხანია, რაც თქვენ, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, საქართველოში ჩამოდიხართ. რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოსა და ქართველებზე? როგორ შეაფასებდით, მათ ხასიათს, ღირებულების სისტემას? რითი შეიძლება იყოს ჩვენი ქვეყანა საინტერესო და ევროპისთვის მიმზიდველი?**

— საქართველოში 1997 წელს ჩემი პირველი ჩამოსვლა შთამბეჭდავი იყო. მახსენდება ერთი ასეთი საინტერესო ამბავი: აეროპორტის მებაჟეს ჩემი ჩემოდნის გასინჯვა სურდა. ჩემოდანში რამდენიმე ფილოსოფიური წიგნი ელაგა. მებაჟემ გერმანულ ენაზე მკითხა: „თქვენ ფილოსოფოსი ბრძანდებით?“ ჩემმა თანხმობამ ის ძალიან გაახარა და მთხოვა, ჩემოდანი დამეხურა. ვიფიქრე: თუ ამ ქვეყანაში ფილოსოფია ასეთ პატივისცემას იმსახურებს, მაშინ მე აქ სწორად აღმოვჩნდი!

მე მქონდა საფუძვლიანი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი: ყველგან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მანამდე ვყოფილვარ, ქართველების დიდ ინტელიგენტურობასა და ნიჭიერებაზე საუბრობდნენ და წლების განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ეს სიმართლეა. მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ სრული ინტელიგენტურობისთვის ქართველებს დისციპლინისთვის და სისტემური მუშაობისთვის მზაობა აკლიათ. როდესაც ამას გაითვალისწინებთ, მაშინ თქვენ შეძლებთ ყველაფერს და ევროპაში მომავალიც გარანტირებული გექნებათ.

**— როგორ შეაფასებდით, როგორც გარედან დამკვირვებელი, იმ ცვლილებებს, რაც 1997 წლიდან დღემდე საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ გარდაქმნებს უკავშირდება?**

— საქართველოში ნამდვილ ცვლილებებზე საუბარი მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიძლება. დღეს ბევრი რეფორმა ტარდება და აშკარად შესამჩნევია საქართველოს ორიენტაცია დასავლეთისაკენ, განსაკუთრებით კი ამერიკასთან და გერმანიასთან ურთიერთობას ვგულისხმობ. ვთვლი, რომ ეს ძალიან კარგი ტენდენციაა. საქართველოს თავისი განუმეორებელი ლანდშაფტითა და კულტურით, თავისი სტუმართმოყვარეობით შეუძლია გახდეს მიმზიდველი ბევრი დასავლელი ტურისტისათვის, რაც მას ბევრ ფულს მოუტანს. იგი ასევე დიდ ეკონომიკურ მოგებას მიიღებს თავისი ბუნებრივი რესურსებით. თუმცა, ძალიან მტკივნეულია, რომ გარემოს ეკოლოგიური დაცვის კუთხით საქართველო დიდად არ ირჯება. ქართველებსაც შეუძლიათ თავისი წვლილის შეტანა გარემოსა და კლიმატის დაცვაში, რისი აუცილებლობაც კარგად უნდა გააცნობიეროს თქვენმა ქვეყანამ. ამითაც შეიძლება დიდი ფულის შოვნა. მაგალითად, ქართველებს შეუძლიათ დიდი ინვესტიციის ჩადება მზისა და ქარის ენერგიაში.

**— თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ამჟამად ჩვენთან ხორციელდება უნივერსიტეტის რეფორმა, რაც საკმაოდ რთული პროცესია. როგორ ფიქრობთ, რა პრიორიტეტები უნდა განსაზღვროს ჩვენმა უნივერსიტეტმა? რა მთავარ ამოცანებზე და პრობლემებზე უნდა მოხდეს განსაკუთრებულად აქცენტირება?**

— უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს კარგი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ახალგაზრდა ქართველებს სჭირდებათ. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ენების ცოდნა, ეკონომიკური მეცნიერების განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა. ეკონომიკა და ეკოლოგია ერთიან სისტემაში უნდა ისწავლებოდეს, როგორც ამას ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ახალგაზრდა ფილოსოფოსი მარინე ფერაძე მიიჩნევს. უნივერსიტეტებმა, როგორც ეს დასავლეთშია, ერთმანეთს უნდა დაუკავშირონ კვლევა და თეორია. დღემდე ძალიან ცოტა კვლევაა ჩატარებული, ამიტომ თეორიაში, ხშირად, კვლევები მხოლოდ მექანიკურადაა ასახული. სტუდენტებისთვის ეს არ არის მიმზიდველი. უნივერსიტეტებში მოდერნიზაციის პროცესი, რაც ახლა დაიწყო, მათ კრიტიკულად უნდა გაიაზრონ.

**— ჩვენს უნივერსიტეტში თქვენი ლექციების მოსმენის ექსკლუზიური უფლება ჰქონდათ პროფესორებსა და სტუდენტებს გერმანული ფილოლოგიის კათედრიდან. სამწუხაროდ, თქვენი ლექციები ვერ მოისმინეს ფილოსოფიის კათედრაზე. რით ახსნით ამას?**

— პირველ წელს მე ვიყავი ფილოსოფოსებთან იმ დროისთვის ერთადერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ქართველ კოლეგებს ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიასთან დაკავშირებით (რაზეც მე ვმუშაობ) საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ. ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ, ასე ვთქვათ, ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიას. მე ეს კარგად მესმის, რადგან, ზოგჯერ, მე თვითონაც გამჩენია იგივე დამოკიდებულება, მაგრამ არ შემიძლია და არც მსურს, ამ მიმართულებას გვერდი ავუარო. ასე რომ, მე ვანვითარებ ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიას და ვიკვლევ, აგრეთვე, მის ფესვებს ქრისტიანულ ისტორიაში და რომანტიკოსებში — ათი წლის მანძილზე ეს იყო ჩემი კვლევისა და სწავლების პროგრამა საქართველოში. ფილოსოფოსებმა ამ მიმართულებით ინტერესი რომ ვერ გამოიჩინეს, მაშინდელმა DAAD-ის ლექტორმა, ლუდმილა კლოთცმა წამიყვანა მე-5 კორპუსში გერმანისტებთან. მე მათ თავიდანვე ძალიან კარგად გავუგე. ისინი აღფროვანებული იყვნენ ფილოსოფიით და მე ბედნიერი — იმით, რომ მათთან ერთად შესანიშნავად ვიმუშავე. იქ, ჩემთან, ასევე იყო რამდენიმე ახალგაზრდა ფილოსოფოსიც: მე ძალიან ამაყი ვარ, რომ ახლანდელი თბილისის მერი, გიგი უგულავა, რამოდენიმე წლის მანძილზე ჩემს ლექციებს ესწრებოდა.

**— თქვენ დაწერეთ საინტერესო წიგნი „პოლიტიკა, როგორც ცხოვრების ხელოვნება“. რას გულისხმობთ პოლიტიკაში, როგორც ცხოვრების ხელოვნებაში, მაშინ როდესაც არსებობს საკმაოდ ტრივიალური შეხედულება, რომ პოლიტიკა „ბინძური თამაშია“?**

— ცხოვრების ხელოვნების პოლიტიკაზე წიგნს მე რამდენიმე წელში დავწერ. დღეისათვის დაწერილი მაქვს მხოლოდ „ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფია“, რომელიც 1998 წელს ზურკამპის გამომცემლობით გამოქვეყნდა მასში შესულია ერთერთი დიდი თავი ცხოვრების ხელოვნების პოლიტიკაზე. მას შემდეგ კიდევ დავწერე წიგნები ცხოვრების ხელოვნებაზე. ჩემს თვალში, პოლიტიკას წარმართავს ყოველი ცალკეული ადამიანი, რადგან იმას, თუ როგორ მიჰყავს მას თავისი ცხოვრება, გავლენა აქვს მთელ საზოგადოებაზე. საზოგადოება, რომ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე, გასაგებია, მაგრამ ადამიანიც ახდენს გავლენას საზოგადოებაზე. მაშასადამე, მნიშვნელოვანია, საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა: როგორ მიმყავს მე ჩემი ცხოვრება? რა ღირებულებების რეალიზებას ვცდილობ? არ არის სწორი, თითი პოლიტიკოსებისკენ გაიშვირო მაშინაც კი, როცა თვითონ არაფერს აკეთებ უკეთესად.

**— მოგეხსენებათ, რომ ამჟამად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებობს საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია. რა შეგიძლიათ ურჩიოთ ქართველ პოლიტიკოსებს? როგორ შეძლებენ ისინი ამ მწვავე კონფლიქტურ სიტუაციაში პოლიტიკის, როგორც ცხოვრების ხელოვნების ინსტრუმენტის გამოყენებას?**

— რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ყოველთვის აქვს სწრაფვა ძალაუფლებისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავს მსოფლიოს სივრცეში დაკარგულად იგრძნობს. თავისი ძლიერების დასადასტურებლად იგი სიამოვნებით ეძებს პატარა ქვეყნებს. საქართველოსთან მიმართებაში ამას განსაკუთრებით გრძნობს. საქართველომ ის უნდა აკეთოს, რასაც აკეთებდა: შეინარჩუნოს სიმშვიდე. მაგრამ, ასევე, უარი უნდა თქვას იმ თამაშზე, რასაც აქამდე თამაშობდა — პატარა პრობლემურ რეგიონებთან მიმართებაში საკუთარი ძალაუფლების შეგრძნებაზე. ამ რეგიონებთან ურთიერთობის მხრივ, უკეთესი იქნებოდა, განვითარებულიყო ატრაქციულობის, მიმზიდველობის პოლიტიკა. როცა მიმზიდველია სახლში დარჩენა, მაშინ არც ერთ ადამიანს არ სურს უცხოსთან წასვლა.



**ვილჰელმ შმიდტი, 53 წლის.**

**თავისუფალი პროფესორი ბერლინში, ფილოსოფიის პროფესორი ერფურტის უნივერსიტეტში. მუშაობდა აგრეთვე ლაიფციგის, ბერლინის, იენის უნივესიტეტებში. 1997 წლიდან მოწვეულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) დოცენტურა). დაწერილი აქვს არაერთი წიგნი ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიის თემაზე.**

**— თქვენ ძალიან ბევრს წერთ ცხოვრების ხელოვნებაზე და იმაზე, რომ მოდერნული ცხოვრების ერთერთი ნიშანი ცხოვრების ხელოვნების არარსებობაა. რას გულისხმობთ ამაში? რა შეიძლება იყოს ახალი მოდერნის კულტურისთვის, კერძოდ, თანამედროვე ადამიანისთვის ცხოვრების ხელოვნება?**

— მოდერნიზაციის პროცესის დროს ქართველი ადამიანებიც დგანან საშიშროების წინაშე — დაკარგონ თავიანთი ცხოვრების ორიენტაცია, მსგავსად ბევრი დასავლელი ადამიანისა. ადამიანები სხვადასხვა ორიენტაციას იღებენ რელიგიიდან, კონვენციიდან, ტრადიციიდან, მაგრამ მოდერნიზაცია ნიშნავს ამ ორიენტაციების ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. ადამიანებმა ჯერ უნდა ისწავლონ საკუთარ თავზე ორიენტირებულობა, რაც საკმაოდ რთულია. საქართველოსთვის სასურველი იქნებოდა მოდერნი: **High Tech**-ისა (ულტრათანამედროვე ტექნოლოგია) და ტრადიციის შეკავშირება, ასე მაგალითად: **Labtop**-ი და ხინკალი.

**— როგორ ფიქრობთ, ცხოვრების როგორ ხელოვნებას ფლობენ ქართველები?**

— დღემდე საქართველო ტრადიციული ცხოვრების ხელოვნებას ფლობს,

მაშინ, როდესაც დასავლეთში ახალი ცხოვრების ხელოვნება უნდა განვითარდეს. ამ ცხოვრების ხელოვნებას მიეკუთვნება ჭამის ხელოვნება, სტუმრების მიღების ხელოვნება, რიტუალების ხელოვნება, ურთიერთობების ხელოვნება, ტკივილისა და მწუხარებისადმი დამოკიდებულების ხელოვნება და, აგრეთვე, ყველაზე მეტად სიკვდილისადმი დამოკიდებულების ხელოვნება, ანუ აკვნის ცხოვრების ხელოვნებიდან - კუბოს ცხოვრების ხელოვნებამდე, ცხოვრების დაწყებიდან — დასასრულამდე. საქართველოში ბავშვს ცხოვრების გზას უადვილებენ, ის ამას ეჩვევა და განებივრებულად გრძნობს თავს ბევრი „გარშემო მყოფი პერსონისაგან“, სანამ ცხოვრებას, ჯერ კიდევ, ნათელ ფერებში ხედავს. ბევრი ამ ტრადიციათაგან სათავეს ანტიკურობიდან იღებს. მაშასადამე, აქვს ძალიან დიდი ხნის ტრადიცია და, შესაბამისად, საკმაოდ ძვირფასია.

**— თქვენ ასევე ძალიან ბევრი გაქვთ დაწერილი სიყვარულის შესახებ. თუ გქონიათ ოდესმე მცდელობა, სიყვარულის ქართული ფორმების ინტერპრეტირებისა? თუ ეს შესაძლებელია, საერთოდ..**

— სიყვარულის შესახებ მე ჯერ არ დამიწერია, მაგრამ ჩემი შემდეგი დიდი წიგნი მხოლოდ ამ თემას მიეძღვნება. ქართული სიყვარულის ფენომენიც, ასევე, ტრადიციებს უკავშირდება. საქართველოში მამაკაცსა და ქალს შორის როლები ჯერ კიდევ ძალიან აშკარად არის გაყოფილი. მოდერნიზაციის პროცესი ამას ასე არ დატოვებს. სიყვარული აქაც ისეთივე რთული გახდება, როგორც დასავლეთში, სადაც ბევრი ადამიანი დღეს ამის გამო სასოწარკვეთილი, იმედდაკარგულია და აღარ იცის, როგორ მოახერხოს: იყოს მამაკაცი და ქალი ტრადიციული როლის შესაბამისად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველა იქით უნდა წავიდეთ. აშკარა როლების დანაწილებამ მამაკაცებისთვის პრივილეგიები დააწესა, რაც უსამართლოა. ახალი როლების სამართლიანი განაწილების ძიება რთულია და ეს არის, უპირველეს ყოვლისა, თითოეული წყვილის ამოცანა.

**— თქვენ გქონდათ შესაძლებლობა გაგეცნოთ ბევრი ქართველი მეცნიერი, პროფესორი, რა შეგიძლიათ თქვათ მათ მეცნიერულ მოღვაწეობაზე?**

— ზოგიერთი აკეთებს წარმოუდგენლად ბევრს, მაგრამ ზოგიც - ძალიან ცოტას. თუ სულ მხოლოდ ერთი და იგივე ტექსტებს გავიმეორებთ, მაშინ გამოვა სქოლასტიკა შუა საუკუნეებში. არსებობს შესანიშნავი ახალგაზრდა თაობა, რომელიც ვერ პოულობს ადგილს. მაგალითად, კოკა ბრეგაძე — გერმანისტიკაში. მეცნიერება არის პროცესი და არა მდგომარეობა. გონებრივად მომუშავე ხალხს აქვს საზოგადოებრივი ამოცანა, განავითაროს იდეები, რაც შეიძლება გახდეს ინსპირაცია ადამიანებისთვის და პოლიტიკისათვის. ამით რეალობა შეიძლება იქითკენ შეტრიალდეს, საიდანაც იწყება ახალი ცხოვრება.

---

*გაცვლითი პროგრამები*

# გაცვლითი პროგრამა ლატვიისა და ზაარლანდის უნივერსიტეტებში

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ლატვიისა და ზაარლანდის უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კონკურსი გამოაცხადა. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ კონკურსანტები და როგორი იქნება კონკურსში გამარჯვებულებისთვის უცხოეთში სწავლის პირობები?

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის, თეა გერგედავას ინფორმაციით, ლატვიის უნივერსიტეტთან, გაცვლითი პროგრამის განხორციელების მიზნით, 2005 წლის დეკემბერში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ორი სტუდენტი ერთი აკადემიური წლის განმავლობაში თითო სემესტერს გაივლის ამ უნივერსიტეტში.

ერთსემესტრიანი სწავლისათვის აუცილებელი პირობაა ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა. კონკურსი-გასაუბრება ჩატარდება 9 ნოემბერს.

შერჩეული ორი ქართველი სტუდენტი საგაზაფხულო სემესტრს გაივლის ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიმღები მხარე მათ სთავაზობს ადგილს საერთო საცხოვრებელში, სტიპენდიას _ 90 ლიტვური ლატის ოდენობით (ეს დაახლოებით 160 ამერიკულ დოლარს უდრის). მგზავრობისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებზე სტუდენტი თავად ზრუნავს.

რაც შეეხება მეორე კონკურსს, მოგეხსენებათ, ზაარლანდის უნივერსიტეტი არის პარტნიორი უნივერსიტეტი, რომელთანაც წლების განმავლობაში ხორციელდება გაცვლითი პროგრამები. წელს ეს ტრადიცია გაგრძელდა.

დაახლოებით დეკემბრის პირველ ნახევარში, გასაუბრების ჩასატარებლად გვეწვევა ორი პროფესორი ბატონი ბერდ შროედერი და ბატონი იოჰან შნაიდერი.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ეკონომიკის, ჰუმანიტარული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების მე-2 და მე-3 კურსის ბაკალავრები, ასევე იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელი მაგისტრები. გარდა ამისა, წელს, პირველად, მედიცინის ფაკულტეტის მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტებს უფლება აქვთ, მიიღონ კონკურსში მონაწილეობა.

საერთო ჯამში ერთსემესტრიან სასწავლო პროგრამაზე შეირჩევა 3 სტუდენტი, ხოლო ერთთვიან საზაფხულო ენის კურსებზე სასწავლო სტიპენდიებისათვის — 4 სტუდენტი.

გასაუბრება შედგება დეკემბრის მეორე კვირაში.

იმის მიხედვით, თუ რა ტიპის სტიპენდიას მოიპოვებენ, კონკურსში გამარჯვებული აპლიკანტების ნაწილი ზაარლანდში გაემგზავრება 2006-2007 წლის მეორე სემესტრში, ნაწილი — 2007-2008 წლის პირველ სემესტრში.

მიმღები მხარე მათ უნაზღაურებს იქ ყოფნის ხარჯებს, ანუ სთავაზობს ცხოვრებას უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში და ათავისუფლებს სწავლის გადასახადისაგან. გამარჯვებული აპლიკანტი თავად არის პასუხისმგებელი ჯანმრთელობის დაზღვევაზე და მგზავრობის თანხების მოძიებაზე.

# რას გვიქადის ბიომრავალფეროვნების დაქვეითება

გია ქაჯაია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

*„გონიერი არსების უპირველესი ცნებაა — შეინარჩუნოს, რაც შესაძლებელია“*

*ო. ლეოპოლდი*
*საზოგადო მოღვაწე*

ჩემს ხელთაა გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს ნ. მოისეევის მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დამუშავებული „ეკოლოგიური იმპერატივის“ ტექსტი (ლათ. „იმპერატივუს“ — მოთხოვნა). იგი ეხება ყველას — სახელმწიფო მოღვაწეებს, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელებს, მეცნიერებს, ბიზნესმენებს, პლანეტის თითოეულ მაცხოვრებელს. სხვა კატეგორიულ მოთხოვნებთან ერთად, ეკოლოგიური იმპერატივი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებასაც ეხება... დაახლოებით ამავე პერიოდში — 1992 წელს — რიო-დე-ჟანეიროში გაეროს ეგიდით ჩატარდა გარემოს დაცვისა და განვითარებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელზეც მიღებული იყო სპეციალური კონვენცია „ბიომრავალფეროვნების შესახებ“.

ვერ ვიტყვით, რომ ბიომრავალფეროვნების შესწავლის აუცილებლობა მხოლოდ ჩვენს დღეებში წამოიჭრა. მას ხომ ბუნებისმეტყველების ისეთი ძველი დარგები იკვლევენ, როგორიცაა, პირველ რიგში, ბოტანიკა, ზოოლოგია. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ამ დარგებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: ალმოჩენილია მცენარეთა 500 ათასამდე და ცხოველთა 2 მილიონამდე სახეობა!

მაშ, რით უნდა აიხსნას ბიომრავალფეროვნების ესოდენ დიდი პოპულარობა ბოლო წლებში? სამწუხაროდ, მიზეზი არცთუ სახარბიელოა; ბიომრავალფეროვნებამ კატასტროფული შემცირება დაიწყო!

უწინარესად, რა იგულისხმება ბიომრავალფეროვნებაში?

პირველ რიგში, მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა სახეობების რაოდენობა და რიცხოვნობა მოცემულ ტერიტორიაზე. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს სახეობები იზოლირებულად კი არ ბინადრობენ, არამედ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და თანასაზოგადოებებს ქმნიან. ბიომრავალფეროვნება ასეთ თანასაზოგადოებებსაც გულისხმობს. რადგან დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება თუნდაც ორი წერტილი აბსოლუტურად იდენტური საარსებო პირობებით. ყველა ლოკალური ტერიტორია, ბიოლოგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად უნიკალურია.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბიომრავალფეროვნების დაქვეითება მხოლოდ ჩვენი ეპოქის ხვედრია. მრავალუჯრედიანი ორგანიზმების გაჩენის შემდეგ ჩვენს პლანეტაზე 5 მსხვილი კატასტროფა მოხდა, რომლის შედეგად მცენარეთა და ცხოველთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამუდამოდ გადაშენდა. მეცნიერებისათვის ცნობილია წარსული მოვლენების მიზეზები. ისინი, პირველ რიგში, კლიმატის გლობალურ ცვლასთანაა დაკავშირებული, რამაც ჩვენი პლანეტის მრავალ რეგიონს საგრძნობლად შეუცვალა იერი. ცხადია, ბიომრავალფეროვნების დაქვეითება ჩვენს დროში სხვა მიზეზებს უნდა მიეწეროს.

ბოლო ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით გამოთქმას — ანთროპოგენური ფაქტორი. იგულისხმება გარემოზე ადამიანის ზემოქმედების ყველა ფორმა, რომელიც, როგორც წესი, მის უარყოფით ცვლილებას იწვევს. ქალაქების, გზების, სავაჭრო ობიექტების მშენებლობისათვის ადამიანი კაფავს ტყის მასივებს, აშრობს ჭაობებს, ამუშავებს სასარგებლო წიაღისეულს. ეს განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმების საარსებო პირობების გაუარესებას, რაც ხშირ შემთხვევაში მათი გადაშენებით მთავრდება. და აი, შედეგიც...

არსებული მონაცემებით, ყოველდღიურად დედამიწაზე 1-2 სახეობა გადაშენების პირამდე მიდის. ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე ყოველ 4 წელიწადში ძუძუმწოვრების ერთი სახეობა სამუდამოდ იკარგებოდა. ძუძუმწოვრებისა და უმაღლესი მცენარეების ყოველ მეხუთე, რეპტილიების მეოთხე, ფრინველების — მეათე სახეობას აქ დაცვის სათანადო ზომები სჭირდება.

გარეული ცხოველების მსოფლიო ფონდის შეფასებით, თუ არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, მიმდინარე ათასწლეულის I-II საუკუნეებში მოისპობა გორილა, მარტორქა, ბენგალიის ვეფხვი, ორანგუტანი. გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარ სახეობათა რიცხვი XXI საუკუნის ბოლოსათვის მილიონს მიაღწევს.

ზევით აღწერილი მოვლენები, სამწუხაროდ, ჩვენც შეგვეხო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორია უკავია, იგი მაღალი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამავე დროს, როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, საქართველოში 600 ათასამდე ჰექტარი ტყე განადგურდა, 400 ათასამდე კი გამეჩხერდა.

საქართველოს ფაუნისტურ მრავალფეროვნებაზე წარსულში მრავალი ფაქტი მეტყველებს. მათი შედარება თანამედროვე სურათთან გვიჩვენებს, რომ ჩვენი ცხოველთა სამყარო დღეს მნიშვნელოვნადაა გაღარიბებული. მოვიყვან თუნდაც ერთ მაგალითს. საერთაშორისო ცენტრის, „ნოეს კიდობანი“, მონაცემებით, სულ რაღაც 10 წლის განმავლობაში (1985-94 წწ.) გარეული ღორის, ნიამორის, მგლის, ტურას რიცხოვნობა 1,2-2-ჯერ, ფოცხვერისა კი 5-ჯერ შემცირდა.



ხშირად ისმის კითხვა: არსებობს ბიომრავალფეროვნების აღდგენის, ან თუნდაც შენარჩუნების რეალური გზები? გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით ხორციელდება, თუმცა მათ ჯერჯერობით მხოლოდ ლოკალური ხასიათი აქვთ.

**კონსერვაციული ბიოლოგია** — მეცნიერების შედარებით ახალი დარგია. იგი უწინარესად იმ სახეობების დაცვას გულისხმობს, რომელთაც, რიცხოვნობისა და არეალის მკვეთრი შემცირების გამო, გადაშენების საფრთხე ემუქრებათ. ასეთი სახეობები ე. წ. **წითელ წიგნებშია** შეტანილი.

კონსერვაციის ერთ-ერთი რეალური გზა დაცული ტერიტორიების შექმნა და მათი მიზანმიმართული გამოყენებაა. სახელმწიფო დონეზე ტერიტორიის დაცვა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ამჟამად მსოფლიოში 40 ათასამდე სხვადასხვა კატეგორიის დიდი თუ მცირე დაცული ტერიტორიაა.

პირველად საქართველოში **დაცული ტერიტორიის** სტატუსი 1912 წელს ლაგოდეხის ნაკრძალს მიენიჭა. ბოლო დრომდე ჩვენში 16 სახელმწიფო ნაკრძალი იყო, საერთო ფართით დაახლოებით 169 ათასი ჰექტარი, მათგან 13 ნაკრძალი მსოფლიოს დაცული ტერიტორიების სიაშია შეტანილი.

ჩვენში დაცული ტერიტორიების სტატუსი და რეჟიმი უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამებოდა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, რამაც ახლებური სისტემის დამუშავების აუცილებლობა განაპირობა. 1996 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, რომელიც რამდენიმე ძირითად კატეგორიას ითვალისწინებს. ამჟამად ხორციელდება ახლებური სისტემის ცხოვრებაში გატარება.

**ზოოლოგიურ პარკებს და ბოტანიკურ ბაღებს** დიდი მნიშვნელობა აქვთ მცენარეთა და ცხოველთა კონსერვაციაში და, შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. მსოფლიოს ყველა ზოოპარკში ამჟამად 0,5 მილიონამდე ძუძუმწოვარი, ფრინველი, ქვეწარმავალი და ამფიბია ბინადრობს. მსოფლიოს 1500-მდე ბოტანიკურ ბაღში 35 ათასამდე სახეობის მცენარეა დაცული. ორიგინალობით და სახეობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან თბილისის და ბათუმის ბოტანიკური ბაღები.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია განაგებს. მათ შორისაა გაეროს პროგრამა გარემოს დარგში („იუნეპი“), ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) და სხვ. ამ უკანასკნელის წარმომადგენლობა საქართველოში 1992 წელს შეიქმნა; მისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაბიჯია კავკასიაში პირველი ეროვნული პარკის დაარსება. ბიომრავალფეროვნების შესწავლა ხორციელდება მეცნიერებათა აკადემიის რიგი ინსტიტუტის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი ქვედანაყოფების, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. თუმცა, სამწუხაროდ, ეს კვლევები ყოველთვის არ ატარებს რამდენადმე თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ხასიათს.

ბიომრავალფეროვნების დაქვეითებასთან დაკავშირებული ჩვენი შეცდომები, პირველ რიგი, ეკოლოგიის კანონების უგულებელყოფას უნდა მიეწეროს. ბუნებას არ შეიძლება მოვეპყრათ მეტისმეტად უტილიტარულად. ისეთი მომხმარებლის პოზიციიდან, რომელიც მზადაა მოსპოს ტყეები, დააშროს ჭაობები და ყველგან დათესოს პური და ბოსტნეული. ყოველი ადამიანი დღეს ცოტა ეკოლოგიც უნდა იყოს. ისეთი ცნებები, როგორიცაა ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება ისეთივე ყოველდღიური და გასაგები უნდა იყოს მისთვის, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკა, კომპიუტერი და სხვ. ცხადია, ეკოლოგიის ძირითადი პრინციპები ჩვენი სკოლების შესაბამის საგნებში ვრცლად და საფუძვლიანად უნდა აისახებოდეს.

**ცნობისათვის:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლახან ჩატარებული რეფორმების შედეგად, შეიქმნა ბიომრავალფეროვნების შესწავლის მიმართულება (ხელმძღვანელი — პროფესორი არნ. გეგეჭკორი).

## მოკლედ

# უნივერსიტეტში მოწვეულ პედაგოგთა ანაზღაურება თითქმის სამჯერ გაიზარდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსის წესით არჩეული აკადემიური პერსონალის გარდა სასწავლო პროცესს სხვადასხვა სახის კონტრაქტით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები წარმართავენ. ახალი სასწავლო წლიდან თსუ-ში მოწვეულ პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურება სამჯერ გაიზარდა.

თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ გიორგი ხუბუას ბრძანების თანახმად, 2006-2007 სასწავლო წლის განმავლობაში საათობრივი დატვირთვის წესით მოწვეული პედაგოგებიდან მეცნიერებათა დოქტორი საათში მიიღებს 10 ლარს, მეცნიერებათა კანდიდატი — 8 ლარს, ხარისხის არმქონე პედაგოგი კი 6 ლარს.

საუნივერსიტეტო რეფორმამდე უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული პედაგოგებიდან მეცნიერებათა დოქტორი საათში აიღებდა 3,40 ლარს, მეცნიერებათა კანდიდატი 2,70 ლარს, ხოლო ხარისხის არმქონე პედაგოგი 2 ლარს.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

# თანამშრომლობის მემორანდუმი

31 ოქტომბერს, ლექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.



მემორანდუმზე თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ და მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დიმიტრი კორძაიამ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის თანახმად, მორფოლოგიის ინსტიტუტში განახორციელებულ კვლევებში თსუ-ს სტუდენტებიც ჩაერთვებიან და კლინიკურ უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან.

დაიგეგმა დოქტორანტებისა და მაგისტრანტების მომზადება.

# ვაჟა-ფშაველას ახალი კაბინეტის პრეზენტაცია დეკემბრის ბოლოს გაიმართება

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების თანახმად, ვაჟა-ფშაველას კაბინეტი ამიერიდან განთავსდება თსუ-ს პირველი კორპუსის მესამე სართულზე, №116 ოთახში, სადაც 1915 წელს გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა. სამეცნიერო კვლევითი ფუნქციის გარდა, ვაჟა-ფშაველას კაბინეტს მემორიალური დანიშნულებაც ექნება.

ვაჟა-ფშაველას მემორიალური კაბინეტის გამგედ დაინიშნა მამუკა ჭანტურაია, კაბინეტის კონსულტანტი იქნება ცნობილი პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი ჯუმბერ ჭუმბურიძე, რომელიც უნივერსიტეტში წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტს.



**ზურაბ გაიპარაშვილი, თსუ მუზეუმის გამგე:**

— ის ხმები, რომ იხურება ვაჟას კაბინეტი, რა თქმა უნდა, არ შეეფერება სინამდვილეს, პირიქით, კაბინეტი იმ ადგილზე განთავსდება, სადაც ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა.

მოგეხსენებათ, ამ შენობაში, სადაც ახლა უნივერსიტეტის პირველი კორპუსია, თავის დროზე არაერთი დაწესებულება ყოფილა განთავსებული. ეს იყო გიმნაზია, საისტორიო, საეთნოგრაფიო საზოგადოებრივი მუზეუმი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი და ა.შ. სწორედ აქ, 1915-18 წლებში სამხედრო ლაზარეთიც კი იყო მოწყობილი. 1915 წელს აქ მკურნალობდნენ ავადმყოფ ვაჟა-ფშაველას, რომელიც აქვე გარდაიცვალა. მერე, როდესაც უნივერსიტეტი დაფუძნდა და ვაჟას შემოქმედების შემსწავლელი სამეცნიერო კაბინეტიც დაარსდა ბატონი გრიგოლ კიკნაძის ხელმძღვანელობით, მუდმივად არსებობდა მოსაზრება, რატომ არ უნდა იყოს იმ ოთახში ვაჟა-ფშაველას მემორიალი.

წელს, ჯუმბერ ჭუმბურიძის ინიციატივით და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ხუბუას მხარდაჭერით, უნივერსიტეტმა მიიღო არაჩვეულებრივი გადაწყვეტილება. იმ ოთახში, სადაც 1915 წელს ვაჟა გარდაიცვალა, გაიხსნას მისი მემორიალური კაბინეტი. მასში განთავსდება 35-მდე სახვითი ხელოვნების ნიმუში, რომელიც ეძღვნება დიდ პოეტს, მის შემოქმედებას. რამდენიმე მემორიალური ექსპონატი და ვაჟას თითქმის ყველა ხელნაწერთა ასლი მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ თანამედროვე დიზაინერთა და მხატვართა დახმარებით საუკეთესო გარემო შეიქმნას. წინასწარ არ მინდა გავამჟღავნო ის საინტერესო სიურპრიზი, რომელიც ჩაფიქრებული მაქვს, და რომელიც გაალამაზებს პრეზენტაციას.

რამდენიმე დღის წინ ჩვენ შევხვდით ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს. მათგან ბევრი იჩენს ინტერესს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი, ასევე აინტერესებთ ქართული პოეზია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, კავკასიის პრობლემები. სწორედ სტუდენტთა ამ ჯგუფის მეშვეობით ვაპირებთ, გავმართოთ ყოველკვირეული სემინარები.

ვაჟა-ფშაველას კაბინეტის პრეზენტაცია დეკემბრის ბოლოს გაიმართება.

# ვაჟა-ფშაველას პირისპირ

პირველი გვერდიდან

## ინტერვიუ პროფესორ ჯუმბერ ქუმბურიძესთან

ნინო კაკულია

### უნდა გვებრძოლა არა კონკურსის წინააღმდეგ, არამედ საშტატო ერთეულების გაზრდისთვის

**— თქვენი თაობის პროფესორები, ალბათ, უფრო მტკივნეულად აღიქვამთ იმ რეფორმებს, რაც უნივერსიტეტში დაიწყო. რა გინდათ, რომ გადაარჩინოთ?**

— რეფორმა რომ აუცილებელი იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. სასწავლო პროცესი, რაც ავად თუ კარგად უმაღლეს სასწავლებლებში წლების მანძილზე დამკვიდრდა, მოძველდა იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი ისეთი საგანი ისწავლებოდა, რომელთა შემოღება უნივერსიტეტში აუცილებელი არ იყო. პარტისტორია კი გააუქმეს, მაგრამ სხვა ბევრი საგანიც სასწავლო გეგმიდან ამოსაღები გახლდათ. გარდა ამისა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, როგორც ყველა დაწესებულებაში, გადაჭარბებული იყო, რომელთა შორისაც არაპროფესიონალებიც იყვნენ. ბევრი პროტექციით იყო მოყვანილი. საბჭოთა პერიოდში ყველგან ასე ხდებოდა. ეს არ გახლდათ მარტო ჩვენი უნივერსიტეტის ნაკლი. თანამშრომლების მესამედი, დაწყებული ლაბორანტიდან, დამთავრებული პროფესორით, სპეციალისტად ვერ ჩაითვლებოდა. ამ მხრივ რეფორმა აუცილებელი იყო. მაგრამ იმ სახით, როგორც ჩატარდა, მე მგონია, საკმაოდ მტკივნეული გამოდგა. კონკურსის შედეგად ბევრი ღირსეული სპეციალისტი დარჩა უნივერსიტეტის გარეთ. რატომ? ზოგმა არ მიიღო კონკურსში მონაწილეობა. იცით, ალბათ, რომ ე.წ. დიდმა საბჭომ თავი ფორმალურად აღიდგინა და ბოიკოტი გამოაცხადა. ამიტომ, საბჭოს წევრთა უმრავლესობამ კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ჩვენ გვქონდა რექტორის მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა, სადაც ამაზე იყო საუბარი. ზოგიერთმა, კონკრეტულად დაასახელა კიდეც დისციპლინა, რომლის ერთადერთი სპეციალისტი გაუშვეს. ხოლო კონკურსის შედეგად მოვიდა არაკვალიფიციური კადრი. მე, პირადად, კონკურსის წინააღმდეგი არ ვიყავი. არც ბოიკოტის მომხრე ვყოფილვარ. ჩემი აზრით, რადგან ღია კონკურსი გამოცხადდა, ყველას უნდა მიეღო მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები გარეთ არ დარჩენილიყვნენ. ჩემი პოზიცია ასეთი იყო: უნდა გვებრძოლა არა კონკურსის წინააღმდეგ, ამას გვერდს ვერ ავუვლიდით, არამედ საშტატო ერთეულების გაზრდისთვის. შემდგომ მოხერხდა შტატების დამატება. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი დისციპლინებისა ამოღებულია და შემცირებულია პროგრამა. ბევრი საჭირო საგანი აღარ ისწავლება. მაგალითად, ქართული ლიტერატურის ისტორია ჰუმანიტარულ სპეციალობებზეც კი აღარ იკითხება: არც ჟურნალისტიკის მიმართულებაზე, არც დასავლეთ ევროპის სპეციალობაზე...

სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში ყოველთვის ვიღებდი მონაწილეობას და ახლაც ვიღებ. დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე დისერტაციების უმრავლესობა, დიდი ნაწილი მაინც, ეძღვნებოდა ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას. რაც არ უნდა კარგი შრომა დაწერო გოეთეზე ან თომას მანზე, გერმანელს ვერ გააკვირვებ. ძირითადი აქცენტი, მაინც, გადატანილი იყო იმ ტრადიციებზე, რაც ქართულ მწერლობას ევროპულ ლიტერატურასთან აკავშირებდა. კვლევა თვით ჩვენი კულტურისათვის იყო საჭირო.

**— რეფორმირებულ უნივერსიტეტში ვის შეიძლება არ ჰქონოდა პროფესიონალების შენარჩუნების სურვილი? ღირებული კადრების დატოვება ხომ თავად რექტორატის ინტერესებში შედიოდა...**

— რექტორატს ვერ დავაბრალებ იმას, რომ პროფესიონალების შენარჩუნების სურვილი არ ჰქონდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბევრთან რექტორმა კონტრაქტი გააფორმა და უნივერსიტეტში დააბრუნა, საპატიო პროფესორად მოიწვია. ასე რომ, ამ მხრივ, მდგომარეობა გაუმჯობესდება.

### ენის დაბინძურებას გლობალიზაციას ნუ დავაბრალებთ

**— როგორი ქართულით ვსაუბრობთ? თქვენი თაობის ადამიანებისთვის რა არის მიუღებელი? რას ვერ ეგუებით, როგორც ქართული ლიტერატურისა და ენის სპეციალისტი?**

— ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორია გახლავთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენა სავსებით შეიცვლება. ძირითადი ლექსიკური ფონდი ყოველთვის რჩება, მაგრამ დროთა განმავლობაში, საუკუნეთა მანძილზე ახალი სიტყვები შემოდის — ეს ბუნებრივი, კანონზომიერი პროცესია. ასეა ყველა ენა ჩამოყალიბებული, იზოლირებული ენა არ არსებობს. ქართული ენა ყოველთვის იყო კონტაქტში სხვა ენებთან. ილიას და სხვათა თავკაცობით, საბოლოოდ დამკვიდრებულ ახალ ქართულ ენას დიდი სტრუქტურული, ლექსიკური ცვლილებები აღარ განუცდია.

ჩეულებრივი სასაუბრო ენა, რა ენაზეც ახალგაზრდები ამჟამად მეტყველებენ — ეს არის საშინელი ენა — დანაგვიანებული და, ზოგჯერ, ძალიან უცენზუროც. ისეთ სიტყვებს და ისეთ ფრაზეოლოგიას გაიგონებ, რომ შეძრწუნდები. თქვენ იცით, რომ ქართველი კაცისათვის დედის ღირსება ყოველთვის შეუვალი იყო. საბჭოთა პერიოდში რუსებისთვის დედის შეგინება ჩვეულებრივ ფრაზად აღიქმებოდა. მაგრამ ჯარში ქართველს რომ დედა შეაგინეს, ძალიან ბევრჯერ, ამის გამო, სკანდალი მოხდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ უნივერსიტეტში როცა შემოვდივარ, საშინელი სიტყვები მესმის.

**— ყველაფერს ცუდს, რაც კი ამ ბოლო დროს შევითვისეთ, გლობალიზაციას ვაბრალებთ ხოლმე. რით ემუქრება ქართულ ენას გლობალიზაცია?**

— მე გლობალიზაციას ამას ვერ დავაბრალებ. გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ერს და ყველა ქვეყანას შეეხება — ამას ვერ ავირიდებთ, მაგრამ თუ ქვეყანა დიდი ტრადიციისა და კულტურის მქონეა, როგორც საქართველო (ამას ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ), მან უნდა მოახერხოს საკუთარი რესურსებით, საკუთარ ტრადიციებზე დაყრდნობით შეინარჩუნოს ენა, მწერლობა თუ, საერთოდ, კულტურა. ბევრ ერს არ შეუძლია ჩვენნაირად იამაყოს. სიამაყეში არ ვგულისხმობ იმას, კუდაბზიკები ვიყოთ და, რაც არ გვაქვს, იმით ვიყოყოჩოთ. რაც გაგვაჩნია, რისი ღირსიც ვართ, იმით უნდა მოვიწონოთ თავი. ივანე ჯავახიშვილი — ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელი და პატრიარქთა პატრიარქი, მოძღვართმოძღვარი რომ გარდაიცვალა, მე ახალგაზრდა ვიყავი. დავესწარი მის ბოლო მოხსენებას (მაშინ გარდაიცვალა სწორედ), როცა ჩვენს კულტურაზე ლაპარაკობდა: ჩვენ ვინმეს გაკვირვებას და გაოცებას არ ვაპირებთ, დიდი კულტურა სხვებსაც აქვთ, მაგრამ ჩვენი კულტურა სავსებით შესაფერისია ჩვენი ისტორიისათვის, ეროვნულობისა და ჩვენი მომავლისათვის — ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და არ უნდა დავკარგოთო. ეს მართლაც ასეა.

### მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, რომ ყოველთვის ოპოზიციურად ვიყავი განწყობილი

**— უნივერსიტეტში გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წინ უნივერსიტეტის უხუცეს პროფესორთა შორის თქვენს აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ე.წ. დიდი საბჭოს წევრები, რომლებმაც ბოიკოტი გამოაცხადეს. თქვენს პოზიციებს პატივს სცემდა რექტორის მოვალეობის შემსრულებელიც. ალბათ, აქტიური ბრძანდებით ბუნებით...**

— თქვენ არ მოსწრებიხართ იმ კატაკლიზმებს და ღმერთმა დაგიფარათ იმისგან, რაც საბჭოთა სისტემამ მოიტანა. მე ვარ ქუთაისიდან. იქ დავამთავრე სკოლა. ქუთაისი ძალიან მიყვარს, ნათესავიც ბევრი მყავს, მაგრამ იქ ჩასვლა არ მეხალისება, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობა და მთელი ახალგაზრდობა იქ გავატარე. 16 წლის ვიყავი, როცა რეპრესიები დაიწყო. ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა — მეგობართა ოჯახების დაწიოკება, მათი ოჯახების გადასახლება, მასობრივი დაპატიმრება... ჩვენი ოჯახი შემთხვევით გადარჩა — დედა რომ არ დაიჭირეს... მე და დედა ვიყავით დარჩენილნი. ბიძები გარდაცვლილნი მყავდა. მამაჩემი ემიგრანტი იყო — საკმაოდ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, დასავლეთ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლევილშია დასაფლავებული. სულ იმის შიშში ვიყავით, რომ დედასაც დაიჭერდნენ. სულ ასე გავატარეთ ის წლები. საცხოვრებლად თბილისში რომ გადმოვედით, სტუდენტობის დროს, ასპირანტობის პერიოდში და შემდეგ, როცა ახალგაზრდა ლექტორი ვიყავი, მომსწრე გავხდი ჩემი მასწავლებლების რეპრესიებისა, გადასახლებისა, დაჭერისა. მათგან მხოლოდ ზოგიერთი დაბრუნდა უკან, მაგალითად, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა. მაგრამ ბევრი ვეღარ დაბრუნდა. ეს საშინელი წლები იყო.

მე მიკვირს, როდესაც ჩემი თაობის ადამიანები დაიწყებენ ხოლმე წარსულის ქებას, სტალინის აპოლოგიას. ბოლო წლებში, რა თქმა უნდა, ეკონომიურად უკეთ ვცხოვრობდით. კაცი თუ მსახურობდა, ლუკმა პური ჰქონდა და უმუშევრობაც არ იყო. მაგრამ, თვითონ მოძღვრება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ემყარებოდა, იყო ყალბი — ეს იყო მარქსისტული მოძღვრება, რაც ბოლშევიკებმაც, თავის მხრივ, გადააკეთეს და უფრო გააყალბეს.

მარქსიზმი ქადაგებდა პროლეტარიატის მოსვლას ხელისუფლების სათავეში, ქადაგებდა ერთი კლასის დიქტატურას. ძირშივე შემცდარია ის, რომ ერთმა კლასმა შეჭამოს მეორე. ეს არის ახალ ვითარებაში, ახალ ეპოქაში ველური ტომების კონცეფციის გადმოტანა. ამიტომ, თავისთავად, მცდარი იყო ეს მოძღვრება, რომელიც სიძულვილსა და ურთიერთმტრობას თესავდა არა მარტო სახელმწიფოებში, არამედ ერებს შორისაც. ის ეროვნული კეთილდღეობა, თანამშრომლობა, საბჭოთა კავშირში რომ არსებობდა, იყო ხელოვნური. ხომ ხედავთ, როგორც კი დაიშალა საბჭოთა კავშირი, ურთიერთმტრობა გაჩაღდა. თქვენ გგონიათ, რუსეთის ფედერაცია დიდხანს იარსებებს?

**— როგორც სტუდენტი, თუ იღებდით საპროტესტო აქციებში მონაწილეობას და თუ აქტიურობდით?**

— მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, რომ ყოველთვის ოპოზიციურად ვიყავი განწყობილი და მეზიზღებოდა ბოლშევიკები, ის ხელისუფლება, თუმცა ამის გამოხატვა შეუძლებელი იყო და ნურავინ დაიტრაბახებს, რომ ამას ამჟღავნებდა.

**— დღეს, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაზეა საუბარი, რამდენად თავისუფლად შეგიძლიათ აზრის გამოხატვა? თვლით თუ არა, რომ მკვეთრი პოზიციების გამოვლენა ხელს არაფერში შეგიშლით...**

— დემოკრატია დამყარდა იმ თვალსაზრისით, რომ სიტყვის თქმისა და ჩივილის არავის ეშინია. ჯერჯერობით, ბევრი ნაკლი გვაქვს, რა თქმა უნდა. უმრავლესობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა, თვლის, რომ ყველაფერი მისებურად უნდა გადაწყვიტოს. მე არც ოპოზიციით ვარ აღფრთოვანებული. ორივე ხალხის წარმომადგენელია. ამიტომ, ცალმხრივად საუბრის უფლება არც ერთს არ აქვს. უნდა იყოს კონსენსუსი. ამ მხრივ, ბევრი რამ გვაკლია.

### დაუწერელი მოგონება

**— სამეცნიერო მოღვაწეობა დაასრულეთ თუ კვლავ აპირებთ მუშაობას?**

— მე ვმუშაობ, ალბათ, ჩემს უკანასკნელ წიგნზე, რომელსაც ჰქვია ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები. მას, ასევე, დაერთვის პოეტური თარგმანები რუსულიდან და გერმანულიდან. მე მგონია, მკითხველს დააინტერესებს, თუკი გამოვიდა.

**— სამეცნიერო მუშაობის გარდა, რა გიტაცებთ?**

— როცა ახალგაზრდა ვიყავი, მიყვარდა სპორტი, ცურვა, ცხენოსნობა. ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ კარგი მოცურავე და კარგი ცხენოსანიც ვიყავი. ქუთაისში გავიზარდე, რიონის პირას... ჭადრაკიც ძალიან მიყვარდა და რიგიანად ვთამაშობდი.

მიყვარდა მუსიკა, ახლაც მიყვარს, ასაკი არ მიშლის ხელს და ვისმენ კლასიკურ მუსიკას. ვერ ვიტყვი, რომ ჯაზი მძულს-თქო, მაგრამ არ მიტაცებს. მაინტერესებს საზღვარგარეთის ამბები. ინფორმაციას ხშირად ვუსმენ.

პოლიტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ აპოლიტიკურიც არ ვარ, ისევე, როგორც უნივერსიტეტი არასოდეს ყოფილა აპოლიტიკური. ვინც კარგი ქართველი და ნორმალური ინტელიგენტი იყო, ყოველთვის აინტერესებდა პოლიტიკა. რაც ჩემი ცნობიერება ჩამოყალიბდა, მუდამ მქონდა ჩემი პოზიცია და პროცესებში შეძლებისდაგვარად ვმონაწილეობდი.

**— ეს განაპირობა თქვენი ოჯახის ტრადიციამ, ბედმა და თქვენმა განცდებმა?**

— ეს განაპირობა ჩემი ოჯახის ტრადიციებმა, იმ წრემ, რომელშიც ვტრიალებდი. სანამ ცოცხალი იყო, მამაჩემთან მიწერ-მოწერა გვქონდა, მაგრამ ის ადრე გარდაიცვალა. მე პატარა ვიყავი მაშინ. დედამ, რომელიც მასწავლებელი იყო (მას მოსკოვში ქალთა უმაღლესი კურსები ჰქონდა დამთავრებული), ბევრი რამ მასწავლა და ჩამინერგა. მე დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ არც პოზიციების გამოხატვას ვერიდებოდი. ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრები მქონდა. როცა პრეზიდენტი იყო, ორჯერ შემომთავაზა დეპუტატობაზე მეყარა კენჭი, ორივეჯერ უარი ვუთხარი, რადგან მე ჩემი საქმე მქონდა და პოლიტიკური მოღვაწეობა არ მიზიდავდა.

**— მოგონებებს არ წერთ?**

— მე არ გამივლია ისეთი ცხოვრება, რომ ჩემი მოგონებები ვინმესთვის საინტერესო იყოს. თუმცა გასახსენებელი ბევრი მაქვს: 1978 წელს, ქართული ენის ბედი როცა წყდებოდა, ასევე 9 აპრილის დროსაც, მიტინგებში აქტიურად ვმონაწილეობდი. ახალგაზრდა არ ვიყავი, მაგრამ მე და ჩემი მეგობარი ოთარ ჯაფარიძე იქ ვიდექით დარბევის დროს და ბეწვზე ვართ გადარჩენილი.

### რუსული ზღვა წალეკავს, ქართული მდინარე კი მხოლოდ მორწყავს აფხაზეთის ნიადაგს

**— თქვენი თაობა მიჩვეულია იმას, რომ ერის სახედ მწერლები და მეცნიერები ითვლებოდნენ. დღეს კი პოპულარულნი არიან პოლიტიკოსები, რასაც ჩრდილში მყოფი მწერლები აპროტესტებენ ქვეყანაში სხვა ღირებულებების გამეფების გამო. თქვენი აზრით, რატომ არ ჩანან ისინი ასპარეზზე?**

— მწერალი, რომელიც ლუკმა-პურზე ფიქრობს, თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი. ალბათ, საჭიროა დროის გავლა, სიტუაციის ჩაწყნარება, მყარი ნიადაგის შექმნა და მწერლობაც, თანდათან, გამოჩნდება. ჩვენი ნიჭიერება კი არ დაკარგულა. ვითარება გამოსწორდება, თუ არ გადავდგამთ ისეთ საბედისწერო ნაბიჯს, რაც დიდხანს დაგვასამარებს. ეს კი დამოკიდებულია გონივრული პოლიტიკის დამკვიდრებაზე. იმედია, რომ ეს მოხერხდება. რუსების აპოლოგეტი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ უნდა ვთქვა: ინტელიგენციასა და ხალხს შორის ისეთი განსხვავება არც ერთ ქვეყანაში არ იგრძნობა, როგორც რუსეთში. იქ ინტელიგენცია ძალიან მაღალი დონისაა, ხალხი კი - ძალიან ჩამორჩენილი და ბრიყვი. სასურველია, რომ ასეთ დიდ ქვეყანასთან ძალიან არ გავამწვაოთ ვითარება. ხომ ხედავთ, რა თვისებები გამოამჟღავნეს? ფაშისტებივით იქცევიან. იქაც შეიცვლება, ალბათ, მდგომარეობა. რუსებმა აფხაზები და ოსები ისე გაასულელეს, რომ საწყალი აფხაზები ვერ ითვალისწინებენ, რა მოელით მათ ხელში. თქვენ წარმოიდგინეთ თვით დიმიტრი გულიას ვაჟმა, მწერალმა გიორგი გულიამ თქვა: გვირჩევნია, ზღვამ დაგვახრჩოს, ვიდრე მდინარემო. — ეს სულელური ფრაზაა. აფხაზებს რუსეთის ზღვა მართლა დაახრჩობს და დაკარგავენ ეთნიკურ თავისებურებებს, ქართული მდინარე კი მხოლოდ მორწყავდა მათ ნიადაგს.



## ჯუმბერ ქუმბურიძე

ჯუმბერ ქუმბურიძე — 85 წლის.

დაიბადა 1921 წლის 15 იანვარს, ქუთაისში.

1938 წელს დაამთავრა ქუთაისის პირველი სანიმუშო საშუალო სკოლა.

1942 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1946 წელს — თსუ ასპირანტურა ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობით.

1944 წელს კითხულობდა ქართული ლიტერატურის კურსს მოზარდმაყურებელთა თეატრთან არსებულ სტუდიაში. ამავე კურსს 1945-53 წლებში კითხულობდა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. 1947 წლიდან კითხულობს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს და სპეციალურ კურსებს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1966 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1974 წლიდან ხელმძღვანელობს ვაჟა-ფშაველას კაბინეტს.

1986 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

2001 წელს ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით. 2004 წელს მიენიჭა აკაკი შანიძის სახელობის პრემია.

არის 100-მდე დაბეჭდილი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

ჰყავს ვაჟი და 2 შვილიშვილი.

# თავისუფლება კულტურის ენით მეტყველებს

## „მნათობის“ პრეზენტაცია

ნინო კაკულია

ამ ღონისძიების გაშუქება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ პრეზენტაციაზე გამოსული მწერლების, კულტურის მოღვაწეებისა და პატრიარქის სიტყვების მოსმენა და მისი შეფასება, ბევრისთვის სიცოცხლის, ცხოვრებად გარდაქმნის ტოლფასია. მხოლოდ დიდ შემოქმედებას შესწევს უნარი დაანგრიოს ის ბარიერები, რომელიც ხალხს ცხოვრების სულიერი ნაწილისგან იზოლაციაში ამყოფებს. ვინ როგორ გამოხატავს სწრაფვას იმ გარემოსკენ, სადაც სითბო, ყურადღება, სიმშვიდე, სრული კომფორტი ელოდება? „სახლში მინდა!” — გაღიმებული მზის ქვეშ დახატულ სახლში ცხოვრება ყველას უნდა, მაგრამ ბევრისთვის ნამდვილად არ აქვს დიდი მნიშვნელობა იმას — გაივსება თუ არა სადარბაზოში დაკიდებული საფოსტო ყუთი ღირებული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებით (თუკი ვინმეს ეს ყუთი სადარბაზოში დღესაც უკიდია).

საქართველო-რუსეთს შორის გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, ყველა — ვისაც აინტერესებს თუ არ აინტერესებს პოლიტიკა, ამ პროცესების მეთვალყურე და შემფასებელი გახდა. მაგრამ მოჭარბებულმა პოლიტიკამ ერთგვარი პროტესტის გრძნობა გააღვივა კულტურის მოღვაწეთა შორის, რომლებიც ცხოვრებაში ნამდვილად მნიშვნელოვან ღირებულებებზე მაღლა პოლიტიკური ურთიერთობების დაყენებას ერისთვის საშიშ ტენდენციად თვლიან.

**„გლობალიზაციის პერიოდში საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს თვითმყოფადი ქვეყნის სახელს, თუ, უპირველეს ყოვლისა, თავის კულტურას წარმოაჩენს. ეს კულტურა მრავალწახნაგოვანია, ჯერ ადამიანთა ურთიერთობით, ცხოვრების წესით, ზნე-ჩვეულებით და მერე პოეზიით, ცეკვით, სიმღერით, თეატრალური და კინოხელოვნებით გამოხატული”** — წერს ანდრო ბუაჩიძე „მნათობის” ფურცლებზე.

„კაცმა რომ თქვას, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, ერთი ჩვეულებრივი ადამიანური სიცოცხლის მანძილზე ამდენჯერ გაწბილდეს კაცი, და, რაც მთავარია, ამდენჯერ გაწბილებულს, მაინც შერჩეს უკეთესობის იმედი. არადა შემრჩა. მჯერა, ერთხელაც იქნება, მართლა მივაფურთხებთ ეშმაკს, მართლა დავძლევთ სიხარბეს, პატივმოყვარეობას, შურს... და მართლა მოვიყრით თავს დაკარგული მიწების დასაბრუნებლად: გაქცეულთა, სულმოკლეთა, გადაგვარებულთა მოსაქცევად...

**უბრალოდ არაეთიკური საქციელი იქნება ჩვენგან, რუსები მავზოლეუმშიც აღარ აჩერებდნენ ლენინს, ჩვენ კი აქ, საქართველოში, თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდეთ მის დანატოვარს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავიცვათ სახელმწიფო დროშის ინტერესები. ბოლო ორი საუკუნე იმიტომაც წარიმართა ჩვენი ცხოვრება ასე უკუღმართად, საკუთარ დროშას რომ არ ვემსახურებოდით,“** — ამბობს „მნათობში” დაბეჭდილ ინტერვიუში მწერალი ოთარ ჭილაძე, რომელსაც საზოგადოების წინაშე გამოჩენა დიდად არ ხიბლავს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მას ემსახურება. და თუ ის დღეს პოლიტიკოსებივით პოპულარული სახე არ არის, ეს მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილის პრობლემაა, ვინც არ იცის, რომ სოციალური წყობის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ შემოქმედებითი იდეის მეშვეობით. „საუბრები პოლიტიკის გარეშე” სხვადასხვა წრეებში მართლაც მიმდინარეობს ქართველი მწერლების დაქსაქსულობასა და პასიურობაზე. თაობათა შორის მუდმივად არსებული ბრძოლა რა ღირებულებებსა და ფასეულობებს შორის ჭიდილს გულისხმობს, ესეც კი არ არის გამოკვეთილი, რათა ამ პრობლემის დომინირებამ მაინც სხვაგვარად წარმართოს საზოგადოებრივი აზროვნება. ეს იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც, სწორედ ტრადიციულად სასიცოცხლო მნიშვნელობის, ეროვნული ღირებულებების მქონე პიროვნებას აქვს ხელისუფლების შეცდომების არა ჩასაფრებულის პოზიციიდან შეფასების სურვილი, არამედ მათი გათავისებისა და მათთან ბრძოლის პასუხისმგებლობის უნარი. დემოკრატიის გაგება ხომ მხოლოდ შემოქმედი ადამიანისგანაა მოსალოდნელი.

სად არიან ჩვენი მწერლები? — ამ კითხვას ძალიან ხშირად სვამენ ადამიანები, ვინც კონფლიქტშია არსებულ გარემოსთან და ვინც მწერალთა სიტყვას ელოდება.

ცნობისთვის: ახლად შექმნილი მწერალთა ასოციაცია „მნათობის” წევრებს (ანა კალანდაძე, ზაირა არსენიშვილი, ლია სტურუა, ქეთევან შენგელია, ჟანა ოთხვანი, გურამ გეგეშიძე, ნუგზარ შატაიძე, ბესიკ ხარანაული, გურამ ბენაშვილი, ირაკლი სამსონაძე, შადიმან შამანაძე, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ ბარნოვი, კოტე ჯანდიერი, მამუკა დოლიძე, ანდრო ბუაჩიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ზაზა ჭილაძე) საპატრიარქომ, ასე ვთქვათ, შემოქმედებისთვის გზა გაუხსნა და თამაზ ჭილაძის თხოვნის წერილის საფუძველზე „მნათობი” სასულიერო აკადემიაში შეიფარა.

**„არ არსებობს ცოდნა რწმენის გარეშე და რწმენა - ცოდნის გარეშე”** — ამ სინთეზმა იქნებ მართლაც წარმოაჩინოს როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის ღირსეულ მწერალთა ქმედითი ძალა. „გმადლობთ ჩემი ყუთის კვლავ გავსებისთვის, რაც ჩემთვის მთელ ცხოვრებას ნიშნავდა”- განაცხადა გიგა ლორთქიფანიძემ პრეზენტაციაზე ჟურნალ „მნათობის” გამოსვლის აღსანიშნავად.

**„ქართული ლიტერატურა იყო, არის და იქნება წინამძღოლი, მაგრამ ამავე დროს, ის უნდა იყოს წინასწარმეტყველი. არ არის საკმარისი, ჩვენ გავაშიშვლოთ ჩვენი ჭრილობა, ჩვენი ნაკლი და ა.შ. მთავარი ის არის, რომ ჩვენ უნდა ვთქვათ, რა წამალი არსებობს განკურნებისა.”** — თქვა თავის გამოსვლაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა თამაზ ჭილაძეს იმისთვის, რომ სწორედ მას მიმართა დახმარებისთვის.

რაც შეეხება იმ პრობლემას, რაც „მნათობის” მთავარმა რედაქტორმა თამაზ ჭილაძემ აღნიშნა, მას უფრო ვრცლად გაგაცნობთ, რათა ყურადღება გამახვილდეს პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მწერლების თაობის პოზიციებზე.

### ბრძოლა მამინაცვლებსა და გერებს შორის?

თამაზ ჭილაძე:

— უპირველეს ყოვლისა, უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო უნეტარესს და უწმინდესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. მისი შემწეობითა და პირადი თაოსნობით ვდგავართ იმ დიდებული ფაქტის წინაშე, რომ ქართული მწერლობა, კერძოდ, ჟურნალი „მნათობი”, რომელიც უწმიდესმა ერთერთი საუბრის დროს პატარა ეკლესიად მონათლა, ისევ არსებობს და ისევ განაგრძობს თავის დიდებულ მოღვაწეობას. ეს ხალხს არა მარტო იმედის ნაპერწკალს, არამედ იმედის ძალასაც აძლევს. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საპატრიარქოსთან არსებულ კულტურის გადარჩენის ფონდს, მის საბჭოს, საბჭოს ყველა წევრს, იმ ყურადღებისთვის, იმ ზრუნვისთვის, რაც ამ ჟურნალის გამოცემის დროს გამოიჩინეს. დიდი მადლობელი ვარ ყველასი, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჟურნალ „მნათობის” ბედი. მისი საუკეთესო ნაწილი, დღეს, აქ, საპატრიარქოს დარბაზში ზის და ჩვენთან ერთად იზიარებს ამ დიდ სიხარულს, მე ვიტყოდი, სიამაყეს, რომ ჩვენ ვართ და ვიქნებით იმიტომ, რომ ყველაზე დიდი მფარველი გვყავს ამ ქვეყნად — ეს არის ღმერთი. ეს ჩვენმა ეკლესიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა თავისი პირადი მაგალითით. დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ აქვს სურვილი კულტურას მიეხმაროს. საკვირველია, რატომ?

კულტურაზე ზრუნვა მომავალზე ფიქრია. ერი, რომელიც კულტურაზე არ ფიქრობს, მომავალზეა ხელჩაქნეული. ჩვენ ასეთი ერი არ ვართ, ეს ჩვენმა ეკლესიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა. **ჟურნალი „მნათობი” არასოდეს გარეულა — პოლიტიკურ ბატალიებში. ის, რაც ხდება, რომ პოლიტიკამ „შეჭამა” არა მარტო ჩვენი სულიერი, არამედ მთლიანად ჩვენი ცხოვრება, რომ საქართველოში შეიქმნა ასეთი აბსურდული ვითარება — პოლიტიკის გარდა არაფერი ხალხს აღარ სჭირდება, მთავარი ფიგურა ქართველი ხალხისა გახდა პოლიტიკოსი — ეს ძალიან დრამატული და საბედისწერო ვითარების აღმნიშვნელია, მეგობრებო!** ჟურნალი „მნათობი” უთანაგრძნობს ჩვენი დიდი წინაპრებისგან დაწყებულ საქმეს და იმ რწმენით ცხოვრობს და არსებობს, რომ ქართველთა ყველაზე დიდი პოლიტიკა დღეს კულტურის სამსახურია, რა თქმა უნდა, ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად. ეროვნულად დამოუკიდებელი ერი, უპირველეს ყოვლისა, თავის კულტურაზე უნდა ფიქრობდეს. ეს ყველაზე სწორია და ჩემგან არავის არ ესწავლება, მაგრამ ვწუხვარ, რომ ეს ასე არ არის. **ბოლოს და ბოლოს, თავისუფლება კულტურის ენით მეტყველებს, ერთადერთი ენა თავისუფლებისა — კულტურაა, ამის დავიწყება არ შეიძლება, მე ვიტყოდი, რომ ამის დავიწყება საბედისწეროა. ჩვენს სინამდვილეში პოლიტიკის გაბატონების გამო არამარტო საბედისწერო და უცნაური რამ ხდება, არამედ ხდება ის, რომ ჩვენს თვალწინ ზოგიერთი ცდილობს, ჩვენი ხალხის ერთიანი კულტურა დაჰყოს ორ ნაწილად, ურთიერთდაპირისპირებულ, გუშინდელ და დღევანდელ მოვლენებად.** ეს სხვა არაფერია, თუ არა ლენინის ერთი ხალხის ორი კულტურის შესახებ თეორია. მე არ მოვერიდები ამის თქმას და თქვენ გახსოვთ, რომ ეს თეორია შემდგომში იქცა სამოქალაქო ომის იდეოლოგიურ ბაზად. ეს არის ძალიან საყურადღებო და ძალიან საგანგაშო! ჩვენთან ასეთი დაყოფა აშკარაა. ვის ვუტოვებთ, ვის ვაბარებთ იმ დიად მიღწევებს, რომელიც წარსულში, გუშინ ჰქონდა ჩვენს მეცნიერებას, ჰქონდა ჩვენს ხელოვნებას, ჰქონდა ჩვენს მწერლობას, ცარიზმს? კომუნისტებს ვაბარებთ? უარვყოფთ მას? არა მეგობრებო! ეს ქართველი ხალხის დიადი მონაპოვარია, რომელსაც დრო არ აქვს, მისი დრო მარადისობაა. არ არსებობს კულტურის დრო. კულტურა, რომელიც დღეს იწყება, არ შეიძლება კულტურად ჩაითვალოს, იმიტომ რომ კულტურა, როგორც კაცობრიობა, წარსულიდან მოდის, შორეული დროიდან. ამაზე სხვანაირი წარმოდგენა საბედისწერო და საგანგაშოა. **ასეთი დაპირისპირება ე. ი. გუშინდელი და დღევანდელი კულტურისა, იწვევს კიდევ უფრო დიდ უბედურებას: ეს არის არა მამათა და შვილთა ნორმალური, ლოგიკური და სასურველი დაპირისპირება, არამედ გერებისა და მამინაცვლების ბიოლოგიური სისასტიკით აღბეჭდილი ბრძოლა. აი, სადამდე მივდივართ ჩვენ...** ადამიანებს ეშინიათ თავიანთი ასაკისა — ეს არის ყველაზე საბედისწერო, რაც კი ჩვენ, ამ ბოლო დროს, მივიღეთ. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია უპატრონოთა თავშესაფრამდე და უფასო სასადილომდე, რომელიც სიღატაკის ნიშანია და არა წარმატებისა. ჩვენ, სხვათაშორის, მართლა შეგვიძლია, დღევანდელ დღეს ავაშენოთ ძლიერი, დემოკრატიული სახელწიფო, რა თქმა უნდა, თუ ზოგიერთი დაგვაცდის, მაგრამ უარყო და დაუპირისპირდე შენს წარსულს — დიდებულ ტრადიციებს, შენი ხალხის ადათ-წესებს, ცხოვრების წესს, ეს იმას ნიშნავს, რომ ავაშენოთ ძლიერი, მდიდარი სახელმწიფო და დავკარგოთ სამშობლო. ეს საშინელებაა, მეგობრებო! ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ იმ დიად ცნებას, რასაც სამშობლო ჰქვია.

კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს ეკლესიას, პირადად, კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს და მთელ ქართველ ხალხს, რომელმაც უდიდეს გაჭირვებას გაუძლო. იმედი მაქვს, რომ ის ღირსი გახდება ადამიანური ცხოვრებისა. მას ხომ ჯერ ადამიანურად არასოდეს უცხოვრია. მოდით, ვუსურვოთ ეს და „მნათობი” ჩავთვალოთ ერთერთ იმ ჯარისკაცად, რომელიც საქართველოს მომავალს ეძღვნება.




## ქართული ფილმი

### მოსკოვში ქართული ფილმების ფესტივალი იმართება

*ინტერპრესნიუსი*

მოსკოვში კინოთეატრ „სალიუტში“, 3 ნოემბერიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, რუსეთის ფედერაციის კინოს მუზეუმის ინიციატივით, ქართული ფილმების ფესტივალი იმართება. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება მუზეუმის ოქროს ფონდში დაცული 21 ქართული ფილმი.

ფესტივალის დაწყებამდე რუსეთის კინოს მუზეუმმა სპეციალური მიმართვა გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ ნაჩვენები იქნება „კეთილი, გულწრფელი, თვითკრიტიკული და პოეტური ქართული კინო, რომელიც მაყურებელს შეახსენებს, რა არის ნამდვილი საქართველო“.

„ნუთუ შენ გჯერა იმ მედროვე ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების, კონიუნქტურული ჟურნალისტების, რომლებიც ბოლო დროს ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ჩვენს გვერდით მცხოვრები ქართველები „ბანდიტები და მკვლელები“, „არალეგალური ემიგრანტები“ და „კანონიერი ქურდები“ არიან. გაიცანი და დააფასე შენი მეზობელი ქართველები. ნახე ქართული კინო — ერთერთი საუკეთესო კინო მსოფლიოში!“ — ნათქვამია მუზეუმის მიერ გავრცელებულ სპეციალურ მიმართვაში. ფილმების ჩვენებას რუსეთში მოქმედი ახალგაზრდული მოძრაობის „ლაზარეს“ წევრთა ფოტოგამოფენა გახსნის. მოძრაობის წევრები საქართველოში 2006 წლის ზაფხულში იმყოფებოდნენ. ამ მოგზაურობის დროს მათ მოიარეს აჭარა, ბაკურიანი, სტეფანწმინდა. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია რუსეთში მოქმედი ქართული ფოლკლორული კოლექტივების, მათ შორის მოსკოვის 223-ე „ბაგრატიონის“ სკოლის მოსწავლეთა ანსამბლ — „კავკასიონის“ კონცერტი.

### ქართველი რეჟისორი ევროპის კინოაკადემიის პრიზის მოსაპოვებლად იბრძვის

*ინტერპრესნიუსი*

ნომინაციაში „ევროპული აღმოჩენა“ წარმოდგენილია საფრანგეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის გელა ბაბლუანის ფილმი „ცამეტი“. მასთან ერთად აღნიშნული ნომინაციის ლაურეატის წოდების მოსაპოვებლად კიდევ სამი ფილმი იბრძვის. ევროპის კინოაკადემიის პრიზის მფლობელებს პოლონეთის დედაქალაქში 2 დეკემბერს დაგეგმილ საზეიმო ცერემონიაზე დაასახელებენ. ევროპის კინოაკადემია ლაურეატებს 15 ნომინაციაში გამოავლენს. მათ შორის: საუკეთესო ევროპული ფილმი, საუკეთესო ევროპელი რეჟისორი, სცენარისტი, ევროპელი მსახიობი ქალი და მამაკაცი, ევროპული აღმოჩენა, საუკეთესო ევროპული მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმი, საპატიო ჯილდო ევროპული კონოინდუსტრიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

ევროპის კინოაკადემიის პრიზის დაჯილდოების ცერემონია ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქში იმართება. ღონისძიებას აღმოსავლეთ ევროპა და ქალაქი ვარშავა წელს პირველად მასპინძლობს.

### „ქართული ფილმი“ — წიგნად

რევაზ გეთიაშვილი

წელს ქართველმა კინომოყვარულებმა საყვარელი მსახიობების, რეჟისორებისა და კინომცოდნეების ერთწლიანი ენთუზიაზმის შედეგი წიგნის სახით მიიღეს. კინოპროდიუსერთა ცენტრის გამოცემა ქართული შავთეთრი კინოს მთელ ისტორიას მოიცავს.

წიგნის პრეზენტაცია სიმღერებითა და სლაიდებით გაცოცხლებული ქართული ფილმისა და ცნობილი ქართული ბრენდების მიერ გაშლილი 400-კაციანი სუფრის ფონზე წარიმართა.

„ეს ქართული ფილმის პოპულარიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. 556-გვერდიანი „ქართული ფილმი“ ენციკლოპედია უფროა, ვიდრე ცნობარი“, — აცხადებს კინოპროდიუსერთა ცენტრის დირექტორი დავით აბდალაძე. წიგნში 1908-1964 წლების ყველა ქართული ფილმი შევიდა. ცნობილი მხატვრული, დოკუმენტური და სატელევიზიო ფილმების გარდა მკითხველი ნახავს ექსკლუზიურ მასალებს — აკრძალული, დღემდე უცნობი, დაკარგული, ან ისეთი ქართული ფილმების შესახებ, რომელიც მაყურებელმა რატომღაც რუსულ ფილმებად გაიცნო. სათაურისა და თარიღის გარდა, ცნობარი ფილმის მოკლე ანოტაციას, ქრონომეტრაჟს, გადამღები ჯგუფისა და მსახიობების შესახებ ინფორმაციას მოიცავს. სქოლიოებში დართულია ინფორმაცია ფილმის ისტორიის, წარმატებებისა და ახლანდელი მდგომარეობის შესახებ.

დავით აბდალაძე, კინოპროდიუსერთა ცენტრის დირექტორი: „ეს ყველაფერი ეროვნული კინო-ცენტრისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოძიებული მცირე თანხებითა და ქართული კინოს ცნობილი სახეების ენთუზიამით გაკეთდა. სამწუხაროდ, მასში იმ სურათების მესამედიც ვერ მოხვდა, რაც მუშაობის პროცესში მოვიპოვეთ. ეს მთელი ისტორიაა — უნიკალური ფოტოებით, რომელიც ქართველ კინომოყვარულებს დღემდე არ უნახავთ“.

შავთეთრი ქართული ფილმის ერთკვირიანი ფოტო-გამოფენა 23 ნოემბერს, საღამოს 4 საათზე კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში გაიხსნება.

# ახლო მომავალში უნივერსიტეტში საგამომცემლო სახლი გაიხსნება

მანანა ჯურხაძე

უნივერსიტეტში კულტურის ცენტრი – ახალი საგამომცემლო სახლი იხსნება, სადაც საგამომცემლო საქმიანობის მაღალპროფესიულად წარმართვის გარდა, ლიტერატურული საღამოები, კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრები გაიმართება.

უნივერსიტეტში საგამომცემლო საქმიანობა 1919 წლიდან იწყება. მაშინ მას ხელმძღვანელობდა სარედაქციო-საგამომცემლო კომისია. პირველი წიგნი უნივერსიტეტის გრიფით 1919 წელს გამოვიდა. ეს იყო სახელმძღვანელო ბოტანიკაში. შემდეგ გამოიცა „უნივერსიტეტის მოამბე". 1923 წელს უნივერსიტეტის ლითოგრაფიის ბაზაზე დაარსდა სტამბა, ხოლო 1933 წელს – გამომცემლობა. ამ საქმის სულისჩამდგმელნი იყვნენ აკაკი შანიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი. უკანასკნელ პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში ამოქმედდა პროგრამა – ,,სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის". გამომცემლობის გრიფით ყოველწლიურად გამოდიოდა 200-ზე მეტი მონოგრაფია, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და სხვა სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომი.

უნივერსიტეტის ახალ გამომცემლობას უხელმძღვანელებს ნუგზარ წიკლაური, რომელსაც ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს. მთავარი რედაქტორი იქნება ქალბატონი თამარ ებრალიძეა, რომელიც გახლდათ გამომცემლობა „ლიტერას" ხელმძღვანელი და აკა მორჩილაძის ტელე-პროექტ „უცნობი საქართველოს" რედაქტორი ტელეკომპანია „იმედში."

როგორც ჩანს, საგამომცემლო საქმისადმი დიდმა სიყვარულმა განაპირობა წარმატებაც – მათ მიერ წარდგენილ საგამომცემლო სახლის გახსნის გეგმას რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ მხარი დაუჭირა.

,,ბატონმა რექტორმა გვითხრა, რომ უნივერსიტეტის გამომცემლობისთვის გათვალისწინებულია დიდი დაფინანსება. ყველა სურვილი, რაც შეიძლება ადამიანს საქართველოში წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით ჰქონდეს, ფინანსური თვალსაზრისით, უზრუნველყოფილი იქნება. თუ ამ გამომცემლობას ოდნავ მაინც რაიმე პრობლემა შეექმნება, ეს არ იქნება უნივერსიტეტის ბრალი, ეს იქნება მხოლოდ ჩვენი ბრალი", – აღნიშნა ჩვენთან საუბარში გამომცემლობის ხელმძღვანელმა ნუგზარ წიკლაურმა, რომელიც ამ ეტაპზე საგამომცემლო სახლის რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობს.

ნუგზარ წიკლაური:

**– გამომცემლობა ძალიან ბევრ კარგ წიგნს გამოსცემს, მათ შორის ისეთ წიგნებსაც, რომელიც შეიძლება არ იყოს მოგებაზე ორიენტირებული.**

**მათში აისახება უნივერსიტეტის წიაღში არსებული კვლევების პუბლიკაციები, რასაც ფაკულტეტები მოგვაწვდიან. გვინდა, რომ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს დავუკავშირდეთ და მოვიპოვოთ საავტორო უფლებები უცხოური სამეცნიერო წიგნების გამოსაცემად.**

**უნივერსიტეტის გამომცემლობის წიგნები გაიყიდება ქვეყნის მასშტაბით ყველა წიგნის მაღაზიაში. პირველ რიგში, ბათუმში. აქამდე საგამომცემლო თვალსაზრისით ძალიან დაბალი დონის წიგნები იბეჭდებოდა. ჩვენი პირველი ამოცანაა, გამოვუშვათ კარგი წიგნები, არა მარტო ტრადიციული ფორმატით, არამედ ელექტრონული ვერსიაც, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა წიგნს თან დაერთვება.**

**უნივერსიტეტი, წლების განმავლობაში, თითქმის ვერაფერს ყიდდა – ეს იყო ძალიან მავნე პრაქტიკა. ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ სამი წლის შემოსავალი კვლავ გამომცემლობას დაუბრუნდეს. ამ პერიოდის მანძილზე ჩვენ უკვე სერიოზული შემოსავალი გვექნება და თანდათან თვითდაფინანსებაზე გადასვლასაც შევძლებთ.**

**რუსულ გამომცემლობებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ესპანურს – როგორც ესპანეთში, ასევე, სამხრეთ ამერიკის უამრავ ქვეყანაში. ინგლისურენოვან გამომცემლობაზე აღარაფერს ვამბობ. ჩვენ რამდენი ვართ ქართველები? თანაც სპეციფიურ წიგნებზე, შეიძლება, არც თუ დიდი მოთხოვნილება იყოს, მაგრამ გამომცემლის ალღო მკარნახობს, რომ შესაძლებელია კონკურენტუნარიანი გამომცემლობის შექმნა.**

**ჩემი აზრით, ასევე, აუცილებელია ფონდებთან და ყველა იმ ადამიანთან ურთიერთობა, ვისთვისაც ძვირფასია უნივერსიტეტი და მის ბაზაზე საგამომცემლო საქმის აღორძინება".**

თამარ ებრალიძე:

**– განსაკუთრებულად მიყვარს წიგნები და ყველაფერი, რაც მათ უკავშირდება! ამაზე სასიამოვნო, ამაზე ძვირფასი არაფერი გამაჩნია. როცა უნივერსიტეტმა მიზნად დაისახა თანამედროვე, ერთ-ერთი საუკეთესო გამომცემლობის შექმნა, დავინტერესდი და ჩემს თანამოაზრეებთან ერთად პროექტზე მუშაობა დავიწყე. გავმართეთ გამომცემლებთან შეხვედრები, კონსულტაციები. მოვიძიეთ მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტების გამომცემლობები, გავეცანით მათი მუშაობის სტილს, გავითვალისწინეთ ქართული სინამდვილე და პროექტს გამოსაცემი კონკრეტული წიგნების სიაც დავურთეთ.**

**სწორედ ამ სიამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება. არ იფიქროთ, რომ ხანგრძლივი შრომისა და განსაკუთრებული ძალისხმევის შედეგად შევადგინეთ ეს სია. უბრალოდ, ის წიგნები ჩამოვთვალეთ, რომელთა გამოცემაზე დიდხანს ვოცნებობდით, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ვახერხებდით.**



საგამომცემლო სახლის თანამშრომლები (მარცხნიდან) რევაზ ებრალიძე, ლევან ჩოლოყაშვილი, თამარ ებრალიძე, ნუგზარ წიკლაური

**ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით ვაპირებთ, დავადგინოთ ის სამეცნიერო კლასიკის ნუსხა, რომელიც უსათუოდ თავიდან უნდა გამოიცეს. პრიორიტეტად მიმაჩნია ამგვარი ლიტერატურის თარგმნაც, რათა ამ გზით მოხდეს სამეცნიერო აზრის გაცვლა საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის.**

**ქართულ კლასიკურ მეცნიერებაზე უცხოეთში თითქმის არ არსებობს ინფორმაცია. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია დიმიტრი უზნაძის ,,განწყობის თეორია", რომელიც, დარწმუნებული ვარ, დააინტერესებს, როგორც რიგით ქართველ მკითხველს, ასევე ნებისმიერი უცხოური ფსიქიატრიული სკოლის წარმომადგენელს.**

**მარსელში იხსნება იბერიისტიკის მუზეუმი, სადაც საქართველო საერთოდ არ არის ნაგულისხმევი, მაშინ, როდესაც არსებობს მარის ერთ-ერთი პირველი კვლევა (რუსულ ენაზე) კავკასიელებისა და ევროპელების საერთო გენეზის შესახებ. რუსებს სულაც არ აძლევდა ხელს ამგვარი აღმოჩენა და თავის დროზე ამ მიმართულებით ყოველგვარი კვლევა შეაჩერეს. ჩვენ კი რატომ არ უნდა ვთარგმნოთ ეს წიგნი დღეს?**

**განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ელექტრონულ გამოცემებსაც. მათში აისახება საუნივერსიტეტო ცხოვრება. კემბრიჯის უნივერსიტეტი უშვებს დაახლოებით 800 დასახელების ელექტრონულ ჟურნალს, რომლებიც საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. გვსურს გამოცოცხლდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ელექტრონული საქმიანობა, ავსახოთ ამა თუ იმ ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესები, სტუდენტური ცხოვრება, შემოქმედებითი იმპულსები. ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს, გაეცნოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს.**

**უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი აკადემიურ და სამეცნიერო გამოცემებში აისახება. როგორც წესი, ამ წიგნების ხარისხი პირდაპირაა დამოკიდებული თავად უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ხარისხზე. მარტივად რომ გითხრათ: კოკასა შიგან რაც არის, იგივე გადმოდინდება! გარდა ამისა, უნივერსიტეტი წარმატებული და ეკონომიკურად გამართული რომ იყოს, აუცილებელია კომერციული პროექტების განხორციელებაც. ამ მიზნით უნდა გამოიცეს: თანამედროვე ქართული ლიტერატურა, საბავშვო გამოცემები, გზამკვლევები და ალბომები, ქართული კლასიკური ტექსტები, ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც თავისი დონითა და ხარისხით დააკმაყოფილებს ჩვენი გამომცემლობის ინტერესებს.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე იმ სტადიაშია, რომ ლამის ყველა მისთვის საჭირო სახელმძღვანელო თავად გამოსცეს, თუმცა ეს ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. ამ მიმართულებით დაიწყება ძალზე სერიოზულ კვლევები უცხოურ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე, ფაკულტეტებთან ერთად დაადგენენ ყველაზე რეიტინგული სახელმძღვანელოების სიასაც.**

**ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობასთან სერიის ,,ძალიან მოკლედ ყველაფრის შესახებ" გამოცემის უფლების შესყიდვაზე. ეს გახლავთ ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში გამოცემული წიგნები, რომელიც მიანიშნებს ქართველ მკითხველს იმ აკადემიურ დონეზე, გემოვნებასა თუ სტანდარტებზე, რომელიც დღეს ევროპის ყველაზე უფრო თანამედროვე და წარმატებულ გამომცემლობებში არსებობს. დაგეგმილია ამ წიგნების ავტორების მოწვევაც. ნებისმიერი სპეციალობის მკითხველი იპოვის ამ სერიაში მისთვის საინტერესო და ღირებულ ლიტერატურას. მომავალში კი ვაპირებთ ამ სერიას ჩვენთან ცნობილი წიგნები და გამოკვლევები დავუმატოთ, მაგალითად: ,,ძალიან მოკლედ ქართლის ცხოვრების შესახებ," ,,ძალიან მოკლედ განწყობის თეორიის შესახებ" და. ა.შ. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, გადმოვიღოთ კარგი უცხოური გამოცდილება, ხოლო მათ ჩვენი საუკეთესო მივაწოდოთ!"**

დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია," ნიკო მარის „პირენეის გურია," „თანამედროვე ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია," სერია „ძალიან მოკლედ ყველაფრის შესახებ" (200-მდე წიგნი) – ეს მხოლოდ მცირედია იმ ჩამონათვალიდან, რაც ქალბატონმა თამარ ებრალიძემ წარმოადგინა. მას სურს, ზოგი რამ საიდუმლოდ შეინახოს, რომ ახალმა წიგნებმა ინტერესი არ დაკარგოს. მოკლედ, წინ უამრავი წარდგენა გველის. მომავალი გამოცემები საგულისხმოა არა მხოლოდ თავიანთი მნიშვნელობითა და ხარისხით, არამედ ორიგინალური ფორმატითაც.

ასე რომ, ამიერიდან უნივერსიტეტის გამომცემლობა, მსოფლიოში ცნობილი ყველა დიდი, საუნივერსიტეტო გამომცემლობების მსგავსად, ოთხი მიმართულებით იმუშავებს:

1) აკადემიური და დარგობრივი გამოცემები;

საავტორო და ნათარგმნი წიგნები და ჟურნალები ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, აგრეთვე მედიცინასა და სამართალში;

2) სწავლა და სწავლება;

სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები, მიმდინარე ლიტერატურა, ქართული, მსოფლიო სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის აკადემიური გამოცემები;

3) ლექსიკონები და კითხვარები;

ÂÀÍÌÀÒÔÄÁÉÈÉ, ÃÀÒÂÏÁÒÉÅÉ, ÔÄÒÌÉÍÏËÏÂÉÖÒÉ ËÄØÓÉÊÏÍÄÁÉ, ÁÉÏÂÒÀ×ÉÖËÉ ÂÀÌÏÝÄÌÄÁÉ, ÓÀÌÊÏËÏ ÃÀ ÓÀÁÀÅÛÅÏ ËÄØÓÉÊÏÍÄÁÉ ÃÀ ÄÍÝÉÊËÏÐÄÃÉÄÁÉ;

4) Online გამოცემები;

სპორტული სიახლე

# შვარცნეგერის ხმლით გაღებული საბაჟოს კარი

## ატლანტიკ-სიტიში ქართველმა ათლეტებმა ოქროს მედლები აიღეს

გივი შეყილაძე

27-29 ოქტომბერს აშშ-ში ათლეტიზმში გამართულ მსოფლიოს XV ჩემპიონატზე ოთხმა ქართველმა სპორტსმენმა ოთხი მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ოთხი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამერიკაში თსუ ათლეტიზმის კლუბ „ამირანის" სპორტსმენთა ვიზიტის დაფინანსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ უზრუნველყო.

დაბრუნების დღესვე სპორტსმენები უნივერსიტეტის რექტორს შეხვდნენ.

ზაურ ჯავახიშვილმა ბიცეპსებით წონის აწევაში მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა. იგი ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, ვინც ბიცეპსების ძალით საკუთარ წონაზე მეტს ეწევა. ზაურ ჯავახიშვილი მესამედ დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

გერონტი ჯმუხაძემ რამდენიმე სახეობაში იასპარეზა – გაიმარჯვა შტანგით ჩაჯდომასა და ბიცეპსებით წონით აწევაში, რაშიც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წელს გერონტი მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მანვე დაიკავა მეორე ადგილი პაუერლიფტინგში.

გუნდის დებიუტანტმა ნიკოლოზ შარაძემ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მძიმე კონკურენციის ვითარებაში მეორე ადგილები მოიპოვა წოლჭიმსა და ბიცეპსებით წონის აწევაში, ამას გარდა მან რამდენიმე პრიზი მოიპოვა სხვადასხვა ნომინაციაში.

მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებში გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ ჭავჭანიძე.

რექტორს სპორტსმენები ესაუბრნენ მსოფლიო ჩემპიონატის შთაბეჭდილებებსა და მომავლის გეგმებზე. წარმოადგინეს თავიანთი პრიზები და, მათ შორის, მშვენიერი სუვენირი – შვარცნეგერის სიმბოლური ხმალი, რომლითაც ცნობილი მსახიობი კინოფილმში – „ბარბაროსი კონანი" სასწაულებს ახდენს.

ზურაბ ჭავჭანიძე: „ათლეტთა XV ფორუმს ესწრებოდა ამერიკული ათლეტიზმის ცოცხალი ლეგენდა გენ რიჩლაგი. მან მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ბიჭების სპორტულ ხელოვნებას და აღფრთოვანებულმა მოგვილოცა წარმატება.

ნატურალური ათლეტიზმის ფედერაციის (რომელიც გამოირჩევა უმკაცრესი დოპინგ-კონტროლით) პრეზიდენტმა, ბატონმა ტროი ფორდმა შემოგვთავაზა ერთერთი მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში გამართვა და გვთხოვა, დროულად შევატყობინოთ, თუ შევძლებთ ასეთი ასპარეზობის



ქართველი სპორტსმენები ატლანტიკ-სიტიში

მასპინძლობას.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეს საუკეთესო საშუალება იქნება, მსოფლიო სპორტულ საზოგადოებას ვაჩვენოთ ჩვენი განსაკუთრებული შესაძლებლობანი, რადგან საქართველოში გუნდის სრული შემადგენლობის – 12 სპორტსმენის გამოყვანა შეგვეძლება და ისეთი ვარსკვ-

მე-12 გვერდზე

# რა სად როდის

**იტალიელმა მწერალმა უმბერტო ეკომ საინტერესო პუბლიკაცია გამოაქვეყნა,** სადაც მარტივი ფორმებისა და



მოკლე ფორმების პრობლემით დაინტერესდა. მარტივ ფორმებს იგი ტრადიციულ სალიტერატურო გაგებას ანიჭებს, მოკლე ფორმებს კი რეკლამას, კლიპებსა და ბანერებს ეძახის.

„ტრადიციული მარტივი ფორმები, — წერს იგი. — როგორც აღინიშნა, სახალხო კულტურაში გვხვდება და მისი გადამუშავება განათლებულ ადამიანებს შეეძლოთ. ასე გადაიქცა, ვთქვათ ანდაზები (ხალხური სიბრძნე) აფორიზმებად და პარადოქსებად, მაგრამ ისინი ხომ რთულ ფორმებთან ერთად არსებობდნენ: მითებს ესქილესა და სოფოკლეს ინტერპრეტაციის გვერდით ვხედავთ, თქმულებებს რომანების გვერდით და ვერც იმას დავიჩემებთ, რომ მარტივი ფორმების შემქმნელი ხალხისთვის „რთული" ფორმები უცხო იყო. მჭედლები ხომ „ღვთაებრივ კომედიას" დანტეს სიცოცხლეშივე კითხულობდნენ, ხოლო რომანი "დანიშნულნი" მხოლოდ ინტელექტუალთა საკუთრება არ გახლდათ.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, მხოლოდ ადამიანთა ნაწილს (უმნიშვნელოს, დედამიწის ექვს მილიარდიან მოსახლეობასთან შედარებით) შეუძლია ისეთი რთული ფორმები შეიცნოს, როგორიცაა მოდერნისტული (ჯოისი) ან პოსტმოდერნისტული რომანი. უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორის გარდა, ტრადიციული მარტივი ფორმები არავის აინტერესებს. დიდი უმეტესობა მხოლოდ მოკლე ფორმებით ინტერესდება. სიმოკლე შეიძლება ჩვევაში გადაიზარდოს და ის საგამომცემლო სახლებიც კი, მხოლოდ რთულ ფორმებზე რომ მუშაობდნენ, ახლა მკითხველის მიზიდვას უმოკლესი ჟანრებით, აფორიზმებით, გამოთქმებითა და ხუმრობებით ცდილობენ, თუმცა პრუსტს მაინც ბეჭდავენ. მოკლე ფორმების ამ ინტენსიურმა ექსპანსიამ, ჩემი აზრით, შეიძლება მის სწრაფ აღქმას მიგვაჩვიოს და ამით რთული ფორმებით გატაცების სიამოვნება წაგვართვას. მის შეცნობას ხომ დრო და ტექსტთან, მის კულტურულ ბარგთან თანამშრომლობა სჭირდება. არადა ეს რისკია. თუ რთული ფორმების გაგება გაქრა, ისიც შეუმჩნეველი დარჩება, რომ მოკლე სარეცხი ფხვნილის პროგრამა, შეიძლება არც ისე მარტივი აღმოჩნდეს"

***

**ნობელის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა გიუნტერ გრასმა, სახალხოდ განაცხადა ახალგაზრდობაში ეს-ეს-ის საჯარისო ნაწილებში ვმსახურობდიო. ანტიფაშისტური რომანის ავტორის ამ განცხადებამ საზოგადოების ნამდვი-**



**ლი შოკი გამოიწვია.** ადრე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ იგი რიგითი ჯარისკაცი გახლდათ და დაჭრილი ამერიკელებს ტყვედ ჩაუვარდა. ახალი წიგნის, ომისდროინდელი მოგონებების გამოცემის წინ, გრასმა ინტერვიუში თქვა: „ამ საიდუმლოს შენახვა აღარ შემიძლია. ეს წიგნი სწორედ ამდენი წლის დუმილმა დამაწერინა".

ამ განცხადების შემდეგ მწერალთა, პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა ერთმა ჯგუფმა ნობელის პრემიის კომიტეტს თხოვნით მიმართა გიუნტერ გრასისათვის ჩამოერთმიათ ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში, რომელიც მას 1999 წელს მიანიჭეს. ნობელის კომიტეტმა ამ თხოვნას უარით უპასუხა. თავად გრასმა კი, ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრძანა, ძალიან ცდილობენ პერსონა ნონ-გრატად მომნათლონ, რაც კი შემიქმნია, ყოველივე დაეჭვების საგნად გადააქციონ და სამარცხვინო დაღი დაასვანო.

მისმა განცხადებამ პოლონეთშიც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. გიუნტერ გრასი ქალაქ გდანსკში, პოლონურ-გერმანულ ოჯახში დაიბადა. მაშინ ამ ქალაქს თავისუფალი ქალაქი დანციგი ერქვა. დღესდღეობით გრასი მისი საპატიო მოქალაქეა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ქალაქში შეიქმნა მოძრაობა „სოლიდარობა", რომელიც კომუნისტური რეჟიმის დამხობის საწინდარი გახდა. პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, თავადაც ნობელის პრემიის ლაურეატმა მშვიდობის დარგში ლეხ ვალენსამ განაცხადა, გრასმა ქალაქის საპატიო მოქალაქეობაზე უარი თავად უნდა თქვასო. მიუხედავად ამისა, ქალაქის მერი ასეთი მოთხოვნის წამოყენებას არ აპირებს და ისტორიის შეფასება მერიის საქმე არ არისო, აცხადებს.

***

**ტაილანდის მთავრობამ საზოგადოებრივ ადგილებში გამომწვევი ცეკვები აკრძალა, უფრო სწორად, ასაკობრივი ზღვარი დააწესა.** დღეის შემდეგ, ასე ცეკვა მხოლოდ ოც წელს მიღწეულ ახალგაზრდებს შეუძლიათ. ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილება მთავრობამ მას შემდეგ მიიღო, რაც ქვეყნის დედოფალმა განაცხადა, ბუდისტურ ტაძარში მოწყობილი ეროტიკული წარმოდგენით თავზარდაცემული დავრჩიო.

ეს წარმოდგენა, რომელიც ნონგჰაიის პროვინციის ერთ-ერთ ბუდისტური ტაძრის სადღესასწაულო ღონისძიების



დროს შედგა, დედოფალმა სირიკიტმა ტელევიზიით იხილა და თავისი აღშფოთება ვერ დამალა. შედეგმაც არ დააყოვნა და მთავრობა მაშინვე გამოეხმაურა. ტაილანდის კულტურული დაკვირვების ცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, არასრულწლოვანები ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ, რადგან „მოვაჭრეების" იოლი ნადავლი შეიძლება გახდნენ. ასეთ „მოცეკვავე კიიოტებს" ხომ სხვადასხვა საეჭვო ღონისძიებებისა და რეკლამისათვის ხშირად ქირაობენო. ცენტრის ხელმძღვანელმა ასეთ ცეკვებს „ჭუჭყიანი ცეკვებიც" კი უწოდა.

***

**მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საოპერო თეატრი, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა", სიახლეების დანერგვას ისევ აგრძელებს.** სულ ახლახან, თეატრის შესასვლელი კარი ლითონის საძიებელი აპარატურით აღჭურვა, რათა პრემიერების მოყვარულთა უსაფრთხოება დაეცვა. ამჯერად კი ინ-



ტერნეტში რეალური დროის რეჟიმით გადის და ფართო აუდიტორიას ბრწყინვალე ვარსკვლავების მოსმენის საშუალებას აძლევს. თეატრი დიდი ხანია ცდილობს საოპერო ხელოვნებას საზოგადოების ფართო მასები აზიაროს და ეს გადაწყვეტილებაც მისი პოლიტიკის ნაწილად ჩაითვალა.

ამ ყოველკვირეულ გადაცემებს ბრწყინვალე ტენორი პლასიდო დომინო და ცნობილი დირიჟორი ჯეიმს ლევაინი გახსნიან. შემდგომში კი პუჩინის "მადამ ბატერფლაის" და "ბოჰემის" და როსინის "სევილიელი დალაქის" გადაცემა იგეგმება.

კიდევ ერთი კარგი ინიციატივა: თეატრის ადმინისტრაციამ იაფფასიანი ბილეთები და რეპეტიციებზე დასწრების უფლება გაავრცელა და ამით ახალი თაობის თეატრალების ფართო აუდიტორია მიიზიდა.

***

**ეგვიპტეში დიდი ნეკროპოლი აღმოაჩინეს,** რომელიც დაახლოებით 5000 წლისაა. ნეკროპოლი არქეოლოგთა ეგვიპტურ-ამერიკულმა ჯგუფმა იპოვნა. იგი კაიროდან 600 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.. სამარხში ძროხის გამოქანდაკებული თავი და შვიდი



ადამიანის ნეშტი აღმოჩნდა. ოთხი მათგანი, არქეოლოგთა აზრით, ცოცხლადაა დამარხული, რაც მსხვერპლშეწირვის რიტუალს მოგვაგონებს. ნეკროპოლი, როგორც ჩანს, ერთხელ უკვე გაიძარცვა. მიუხედავად ამისა, ეს ფასდაუდებელ აღმოჩენად ჩაითვალა, რადგან ძველი ეგვიპტის იმ ნაკლებად შესწავლილ პერიოდს ეკუთვნის, როცა მისი სახელმწიფოებრიობა ყალიბდებოდა.

ეგვიპტოლოგების აზრით, ეს ნეკროპოლი უძველესი ქალაქის, ჰიეროკონაპოლისის კუთვნილებაა. ეს ქალაქი ჩვენ წელთაღრიცხვამდე 3600 წელს, ნილოსის სანაპიროზე, ერთ-ერთი უმსხვილესი დასახლება იყო. ზედა და ქვედა ეგვიპტის გაერთიანება, რამაც ფარაონთა მმართველობას დაუდო სათავე, სწორედ მისი მოღვაწეობის შედეგია.

გათხრები ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო. ერთ-ერთი უძველესი მუმიაც სწორედ აქ აღმოაჩინეს.

***

**ფრანგი მუსულმანები მე-18 საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსის, ვოლტერის შემოქმედების აკრძალვას ითხოვენ.** მათი აღშფოთება ვოლტე-



რის რომანმა „მუჰამედი" (1741წ.)გამოიწვია, სადაც მწერალი რელიგიურ შეუწყნარებლობას დასცინის. ადგილობრივი ისლამური აქტივისტების აზრით, ეს წიგნი მუსულმანურ საზოგადოებას შეურაცხყოფას აყენებს.

ამ ტრაგედიის სრული სახელია „ფანატიზმი ანუ წინასწარმეტყველი მუჰამედი" და მას მეშვიდე საუკუნის არაბულ სამყაროში გადავყავართ, როცა მუჰამედმა ფეხი მექაში მოიკიდა და არაბული ტომები ისლამს აზიარა.

მასალა მოამზადა
**მანანა მიქელაძემ**

---

## სპორტული სიახლე

# შვარცნეგერის ხმლით გაღებული საბაჟოს კარი

მეთერთმეტე გვერდიდან

ლავები, როგორებიც არიან, მაგალითად, ვლადიმერ ნაზღაიძე, სერგო მერაბიშვილი, ხვიჩა მამედოვი, გიორგი ჩაკვეტაძე მსოფლიოს ახალ რეკორდებს დაამყარებენ.

ქართველი ათლეტები ისე გავუშინაურდით ამერიკის კონტინენტს, აეროპორტებში, საბაჟო სამსახურის მოხელეები ღიმილით გვხვდებიან და გვაცილებენ, ატლანტიკ-სიტის მაცხოვრებლები



შეხვედრა რექტორთან გიორგი ხუბუასთან

იქნებ ბატონი ტროი ფორდის შემოთავაზებას გამოეხმაურონ ჩვენი ბიზნესმენები და ქველმოქმედნი.

დაგვღალა წლიდან წლამდე დაფინანსების წყაროს ძებნამ და მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენით მსოფლიო პირველობებში მონაწილეობის მცდელობამ".

**ზაურ ჯავახიშვილი:** „შარშან ატლანტიკ-სიტიში მეორედ გავხდი ჩემპიონი, წელს ნაცნობ გარემოში და გაშინაურებულ გულშემატკივრებთან გავიმეორე ერთი წლის წინანდელი ტრიუმფი.

ჩემს წონაში — 60 კგ-ში, 13 სპორტსმენს ვეპაექრებოდი და დავძლიე ამერიკელთა, კანადელთა, ბრაზილიელთა, პუერტო-რიკოელთა — თანამედროვე ათლეტიზმის კანონმდებელი ქვეყნების წარმომადგენელთა წინააღმდეგობა..

მსოფლიო ჩემპიონატი კარგი სკოლაა, აქ ხდება ახალი მეთოდების, ახალი იდეების თვალნათლივ დათვალიერება და ათლეტიზმის საიდუმლოებათა სამომავლოდ „დაგემოვნების" საშუალება გვეძლევა".

**გერონტი ჯმუხაძე:** „პირველად 1995 წელს გავხდი ევროპის ჩემპიონი. 11 წლის განმავლობაში მხოლოდ 4-ჯერ ავედი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. ეს იმიტომ, რომ მეტჯერ ვერ მივიღე მონაწილეობა, არადა, გარწმუნებთ, 11-ჯერვე გავხდებოდი ჩემპიონი.

ქართველ ბიზნესმენთა საყურადღებოდ უნდა ვთქვა, როდესაც ამერიკის, კანადის, ბრაზილიის სახელმწიფო დროშების რიგში ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა ამშვენებს ასპარეზობის სარბიელს და ყველგან, ამერიკასა თუ ევროპაში მაყურებელი უკვე „ნაცნობ ქართველებს" ოვაციას უმართავს, იქნებ დაგვეხმარონ საქართველოს სახელის მეტად წარმოჩენაში.

ჩვენთან სამახსოვრო სურათების გადასაღებად რიგში დგანან ხოლმე.

ჩვენ ყველგან გვიცნობენ, კეთილო ქველმოქმედნო, თქვენც გვიცანით და ნუ მოანატრებთ ჩვენს სახეებს კეთილ მასპინძლებს.

**ნიკა შარაძე:** „11 წლის წინათ საქართველოს ჩემპიონი რომ გავხდი, მაშინვე, 21 წლისამ, ტრავმის გამო თავი დავანებე ათლეტიზმს. უკანასკნელ ხანს მისმა სიყვარულმა ისევ ფიცარნაგზე გამიყვანა. შარშან განვაახლე ვარჯიში და ნაკრების შემადგენლობაში მოვხვდი. ატლანტიკ-სიტიში წოლჭიმსა და ბიცეპსებით თითო ცდაზე გავედი (მწვრთნელებმა და ექიმებმა ახალი ტრავმის შიშით აღარ გამაგრძელებინეს ასპარეზობა) და მხოლოდ პირველი ცდების შედეგებით ვერცხლის მედლები მოვიპოვე. კარგი ტექნიკისათვის დამასაჩუქრეს ე.წ. შვარცნეგერის ხმლით, რომელიც ამერიკულ საბაჟოებში ჩვენი „მწვანე შუქის" ატრიბუტი და გზამკვლევი გახდა."

**ტრიუმფი ამ 20 წლის წინათ დაიწყო, როცა პროფესორმა ვლადიმერ ჭავჭანიძემ, ათლეტიზმზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა, ამ სპორტის ფუძემდებლის, კონსტანტინე ზაუტაშვილის სახელზე, მეორე კორპუსის კალათბურთის დარბაზს მიკედლებულ მცირე ოთახში საწვრთნელი ადგილი გამონახა. მაშინ ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, სარდაფის ამ უმცირესი სადგომიდან ამოსული სპორტსმენები უთვალავი მედლების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ფერით გაამშვენიერებდნენ უნივერსიტეტის და, საერთოდ, ქართული სპორტის ღირსებას.**

## შეკითხვა რექტორატს

უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსდა საფოსტო ყუთი წარწერით — ,,შეკითხვა რექტორატს", რისი საშუალებითაც შეგიძლიათ მოგვაწოდოთ თქვენი ხედვა, შეკითხვა, აზრი, განწყობა...

გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტში" ნახავთ პასუხს ყველა თქვენს შეკითხვაზე!

## საკონტაქტო ტელეფონები:

| | |
|---|---|
| რექტორის მისაღები | 22-51-07 |
| რექტორის მოადგილის მისაღები | 29-08-25 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | 23-03-80 |
| საერთო განყოფილება (კანცელარია) | 23-39-16; 22-59-44 |
| სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური | 29-08-46; 25-08-13 |
| სტუდენტთა მომსახურების განყოფილება | 91-27-91 |
| საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი | 22-56-79 |
| სამუზეუმო სამსახური | 29-08-42 |
| დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური | 25-08-13; 25-36-18 |

**ფაკულტეტების დეკანატები:**

| | |
|---|---|
| ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-08-07 |
| ჰუმანიტარული ფაკულტეტი | 22-21-08 |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-05-94 |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 30-45-36 |
| იურიდიული ფაკულტეტი | 22-37-10 |
| მედიცინის ფაკულტეტი | 94-34-54 |

კონსულტანტი — ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი — გივი შეყილაძე
პასუხისმგებელი მდივანი — მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა — რუსუდან ონეზაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე,
ნოდარ ხადური
თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34
www.tsu.ge
@newspaper@tsu.ge